# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 1 ივლისი 1998 №107 (642) ფასი 50 თეთრი

# რუმინეთი — ხორვატია 0:1

# არგენტინა — ინგლისი 2:2 (4:3)

REUTERS [illegible]




ბოლო მერვედფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშემ მაიკლ ოუენმა (№20) ეს შეტევა გოლით კი დააგვირგვინა, მაგრამ ამით ინგლისს არაფერი ეშველა

## მეოთხედფინალი

3 ივლისი, პარასკევი

**იტალია — საფრანგეთი**
სენ დენი. 18[30]

**ბრაზილია — დანია**
ნანტი. 23[00]

4 ივლისი, შაბათი

**პოლანდია — არგენტინა**
მარსელი. 18[30]

**გერმანია — ხორვატია**
ლიონი. 23[00]

FRANCE 98

გუშინ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მატჩი შედგა — არგენტინისა და ინგლისის დაპირისპირება ფეხბურთის ზეიმი გახლდათ. გოლები საკმაოდ გავიდა. იყო ბრწყინვალე ორთაბრძოლა, დაძაბულობა წამითაც რომ არ მოჰკლებია მატჩს. ერთი სიტყვით, იყო ყველაფერი ის, რაც უნდა ახასიათებდეს კიდეც ჭეშმარიტ ფეხბურთს. პირველად ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების დანიშვნა გახდა საჭირო, აქ კი... განა ინგლისი ინგლისი იქნებოდა, პენალტების სერია რომ მოეგო? ასეც მოხდა. არგენტინამ იმარჯვა. რამდენიმე საათით ადრე ხორვატიამ მოსაწყენ თამაშში სძლია რუმინეთს და მეოთხედფინალში გავიდა, თუმცა ზემოხსენებული მატჩის შემდეგ ეგებ არც ღირდეს ამ თამაშის ხსენება...

# როდის მოიცლის ხალხი და ქვეყანა?

ემზარ ზენაიშვილი
„სარბიელის" საგანგებო კორესპონდენტი ტულუზიდან



მსოფლიო თასის ფინალური მატჩების მასპინძელი ქალაქების რუკაზე ტულუზი — საფრანგეთისა და ევროპის საავიაციო მრეწველობის ცენტრი — პარიზიდან ყველაზე შორი წერტილია — 700-ზე მეტი კილომეტრი და შვიდ საათზე მეტი სავალი მატარებლით. მონპარნასის სადგურზე ტულუზში მიმავალთ ბევრი სთავაზობს საფეხბურთო ბილეთებს, თან კომენტარით — კარგი ფასია, იქ უფრო ძვირად მოგყიდიანო. ტულუზშიც ბლომად იყვნენ ბილეთებით მოვაჭრენი.

ტულუზმა ჰოლანდია — იუგოსლავიის მერვედფინალური მატჩით დაამთავრა მასპინძლობა. „ჩვენ დიდი პატივი გვერგო — მიგველო მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილენი, შეგვექმნა მათთვის კარგი სათამაშო და საყოფაცხოვრებო პირობები. ვფიქრობ, ტულუზელებმა ეს შეძლეს. ქალაქის დღევანდელი თაობა ბედნიერია — ისინი უშუალო მომსწრენი და მონაწილენი არიან ამ სიხარულის. ჩვენს ქალაქში ბევრი ახალგაზრდაა — ასი ათასამდე მარტო სტუდენტი სწავლობს, მაგრამ ვერც ისინი და ვერც შემდეგი თაობები ალბათ უშუალოდ ველარ იხილავენ ტულუზში ამ რანგის მატჩებს — ჩვენი ქვეყანა ხომ მთელი სამოცი წელი ელოდა ამ დღეს. არა მგონია, კიდევ სამოცი გვეყოს — ძალზე ბევრი ქვეყანაა რიგში. ასე რომ, ჩვენ ბედნიერები ვართ" — ამ სიტყვებით გამოეთხოვა ტულუზის მერი სტადიონზე მოსულ გულშემატკივრებსა და ჟურნალისტებს, სტუმრებს.

მოდით, საფეხბურთო სტადიონებზე ნულარ ვილაპარაკებთ, ისინი ყველა მაღალი დონისაა და თანამედროვე მოთხოვნებს სრულად პასუხობენ. მხოლოდ „სტად დე ფრანსი" დგას სხვა სიბრტყეზე, ის შეფასებას არ ექვემდებარება, ის უფრო მაღლაა, ვიდრე შეფასების ქულები და ბალები.

იხილეთ მეხუთე გვერდი

# გახსოვთ 98-ის 30 ივნისი?

მატჩი №56. 30 ივნისი. სენტ ეტიენი. სტად ჟოფრუა გიშარი. 36 000 მაყურებელი

## არგენტინა 2:2 (4:3) ინგლისი

1:0 ბატისტუტა (6პ); 1:1 შირერი (10პ); 1:2 ოუენი (16); 2:2 ძანეტი (45)
პენალტების სერია 4:3 (1:0 ბერტი, 1:1 შირერი, 1:1 კრესპო, 1:1 ინსი, 2:1 ვერონი, 2:2 მერსონი, 3:2 გალიარდო, 3:3 ოუენი, 4:3 აიალა, 4:3 ბეტი)

იმას, რაც წუხელ სენტ ეტიენში გაიმართა, დიდი ფეხბურთი ჰქვია. ასეთი თამაშები ათწლეულების განმავლობაში მიჰყვება მეხსიერებას. გავა დიდი ხანი და დღევანდელი 12-13 წლის ბიჭები მათ მერე წამოსულ თაობებს ეტყვიან: თქვენ არ გეხსომებათ 1996 წლის 30 ივნისი, სამშაბათი საღამო, როდესაც...

...1998 წლის 30 ივნისს, სამშაბათ საღამოს, მსოფლიოს მეთექვსმეტე ჩემპიონატის მერვედფინალურ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ საუცხოო გუნდები, არგენტინა და ინგლისი წარსდგნენ. უდიდეს სანახაობებს დანატრებულმა ფეხბურთის ანგელოზმაც ინება და მოედანზე გაჩაღდა ის, რასაც თურმე მხოლოდ ამერიკელები ვერ აღიქვამენ. წუხელ, სააგენტო როიტერის მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, იქ, აშში გამოკითხვა ჩაუტარებიათ და შეუტყვიათ, რომ სადღაც ფეხბურთის ჩემპიონატი რომ ტარდება, სცოდნია მხოლოდ მოსახლეობის 19 პროცენტს, რომელთაგან უმეტესობას ტელევიზიით ნანახი მოსაბეზრებელ სანახობად მიუჩნევია.

მაშ, მით უფრო ბედნიერები ვყოფილვართ ჩვენ, დანარჩენი მსოფლიო, რომელმაც წუხელ უდიდესი სიამოვნება განიცადა. ჩვენ ფასეულის დანახვისა და ესთეტიკური ტკბობის უნარი გვქონია.

არადა, გუშინდელი დღე მეტისმეტად უცნაურად დაიწყო. „სარბიელის“ რედაქციაში მისულთ ლონდონიდან ჩვენი კორესპონდენტი ზურაბ მეძველია შეგვეხმიანა და გვითხრა, რომ დილას გამოსულ ინგლისურ გაზეთებში სენსაციური ცნობა ეწერა. ჟურნალისტებს აღმოუჩენიათ, რომ გლენ ჰოდლის ნაკრების ორ წამყვან ფეხბურთელს, ალან შირერსა და გრემ ლე სოს დღეიდან ანუ 1 ივლისიდან ბაჰამის კუნძულებზე დასასვენებლად საგზურები ჰქონიათ აღებული.

რას ნიშნავს ეს, ყველასთვის გასაგებია. მაგრამ დაღამდა, თბილისის დროით საღამოს 11 საათიც დადგა და ეკრანმა ტურისტების ნაცვლად ვაჟკაცების სახეები გამოსახა. იქ ყველა ვაჟკაცი იყო, ლე სო, შირერი და კიდევ ოცი ადამიანი, ისინი, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატის თამაშ-მშვენებას ქმნიდნენ.

მე-6 წუთზე დანიელმა მსაჯმა კიმ ნილსენმა არგენტინელი დიეგო სიმეონეს წაქცევისთვის ინგლისის ნაკრების კარში პენალტი დანიშნა. სიმეონემ ბურთი გაიგდო, მაგრამ ჩაწოლილ მეკარეს, დევიდ სიმენს გამოედო და წაიქცა. ერთადერთი, რაც ამ ეპიზოდში უხერხულობას ქმნიდა, ის გახლდათ, რომ ვითარებიდან გამომდინარე სიმეონე კარის მიმართულებით კი არ მირბოდა, არამედ კართან მიახლოვებულს გარეთ გაჰქონდა ბურთი. პენალტი გაბრიელ ბატისტუტამ დაარტყა. სიმენმა კინალამ მოიგერია, მაგრამ ბურთმა მაინც მონახა ბადისკენ მიმავალი გზა. ზეიმის ბებერტოსეული რიტუალით ბატისტუტამ გოლი თავის მესამე, ახალშობილ ვაჟს მიუძღვნა.

დიდი ხანი არ ეწერა სამხრეთამერიკელთა სიხარულს. ოთხ წუთში ინგლისელთა 17 წლის, 6 თვის და 18 დღის ვარსკვლავმა მაიკლ ოუენმა თავისი გუნდის სასარგებლოდ მოინადირა თერთმეტმეტრიანი დარტყმა. უხერხულობა აქაც იყო, ოუენის და არგენტინელი მცველის კონტაქტი მკაფიოდ არც ტელეგამეორებისას ჩანდა, თუმცა, რაღაც შეხება უთუოდ იქნებოდა, რაც სრულიად საკმარისი გამოდგა ქარივით გაქროლილი ყმაწვილკაცის წაქცევისათვის. პენალტი შირერმა გაიტანა.

გამოხდა კიდევ ექვსი წუთი და დიდებულმა ოუენმა ბურთის უზადოდ ფლობის წყალობით მეტეორივით ჩამოიტოვა ორი მეტოქე და ბრწყინვალედაც დაარტყა. ინგლისის ნაკრები დაწინაურდა.

მაგრამ განა არგენტინა დანებდა? დიეგო მარადონას „შთამომავალნი“ ხუთათ წუთში გონს მოეგენ. მოედანს ხავიერ ძანეტიმ დაატყო კვალი. ჩინებულმა მარჯვენა ნახევარმცველმა სწრაფი დრიბლინგით დაიწყო ინგლისელთა დაცვის არევა. თანდათან ძანეტის არიელ ორტეგაც აჰყვა.

და როდესაც მეოთხე მსაჯმა დედამიწას აცნობა, რომ პირველი ტაიმის 45 წუთს 60 წამი ემატებოდა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა სასარგებლოდ ჯარიმა დაინიშნა. არგენტინელებმა ჯარიმა გაითამაშეს, ვერონმა ძანეტის მიაწოდა და მილანის „ინტერის“ ვარსკვლავმა ძლიერი, ზუსტი დარტყმით ბურთი დევიდ სიმენისგან მარჯვნივ, მაღალ კუთხეში შეაგდო.

თამაშის ნირი შესვენების შემდეგ შეიცვალა, მაგრამ ამის მიზეზი მწვრთნელთა გადაწყვეტილება და ფეხბურთელებთან ნაუბარი არ გახლდათ. ამის მიზეზი იყო გნებავთ მსაჯი და გნებავთ დევიდ ბექემი. მოკლედ, მეორე ტაიმი სულ ახალი დაწყებული იყო, როდესაც სიმეონემ ბექემი წააქცია. არბიტრმა ჯარიმა დანიშნა, ხოლო ბალახზე გაწოლილმა ბექემმა (ალბათ, ეგონა ნილსენი ვერ მხედავსო, ის კი თავზე ადგა) ფეხი ასწია და სიმეონეს კვანტი გამოსდო, წაქცევისთვის სამაგიერო გადაუხადა. მსაჯის ლოგიკა ასეთი გახლდათ: სიმეონემ იუხეშა, მაგრამ, ვინაიდან ეს საფეხბურთო სიტუაციაა — მას ყვითელი, ბექემმა კი იხულიგნა და შესაბამისად წითელი მას. და ისევ: თუკი ბექემი მოედნიდან გასაძევებელი იყო, მაშინ წინა დღით ნილსენის ესპანელ კოლეგას გარსია არანდას ჰოლანდია — იუგოსლავიის შეხვედრაში დენის ბერხკამპის გაძევებაც მართებდა. ბერხკამპმა სინიშა მიჰაილოვიჩს დააბიჯა.

ამრიგად, ბექემმა მოედანი დატოვა და ინგლისის ნაკრებს ბუნებრივად მოუხდა შემტევი ტაქტიკის თავდაცვით შეცვლა. ჯერ ოუენმა დაიწია ავანგარდიდან უკან, მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე, შემდეგ კი მას შირერი შეენაცვლა.

ამით ორი გუნდის თავდასხმით გალამაზებული მატჩი შემტევი და კონტრშემტევი მეტოქეების შეხვედრად გარდაისახა. არა, ამას თამაშის სილამაზე და დაძაბულობა არ შენებულებულა, უბრალოდ, მისი სახე შეიცვალა.

მეორე ტაიმის საგულისხმო მომენტთაგან აღსანიშნავია არგენტინის ნაკრების მწვრთნელის, დანიელ პასარელას განხორციელებული ორი შეცვლა: ბატისტუტასა და კლაუდიო ლოპესის ნაცვლად გამოჯანმრთელებული ერნან კრესპოს და მარსელო გალიარდოს შეყვანა. ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი თავად პასარელას მოეხსენება და ალბათ, საფუძველიც ჰქონდა საამისოდ, მაგრამ ჩვენ ისე გვეჩვენა, რომ კრესპომ ბატისტუტობა ვერ გასწია (სულ თამაშგარეში რჩებოდა, პენალტების სერიაში კი სიმენმა დარტყმა მოუგერია), გალიარდომ კი თითქმის ილოპესა, მაგრამ ნამდვილი ლოპესი რომ დარჩენილიყო მოედანზე, იქნებ უკეთესიც ყოფილიყო. მოკლედ, არგენტინელების შეტევამ თითქოს სიმწვავე დაკარგა, თუმცა, იქნებ ეს დაღლილობამაც მოიტანა.

კიდევ იყო სოლ კემპბელის თავური გოლი, რომელიც მსაჯმა იმიტომ არ ჩათვალა, რომ შირერმა არგენტინელთა მეკარეს კარლოს როას გამოსვლაში ხელი შეუშალა, ახტა და უბიძგა.

დამატებით დროში გოლი არ გასულა. დაინიშნა პენალტები...

...მეხუთე დარტყმა. დევიდ ბეტის როა სჯობნის. ინგლისის დიდებულმა გუნდმა ჩემპიონატი უნდა დატოვოს, არგენტინას კი მეოთხედფინალისკენ ეხსნება გზა. იქ მას ჰოლანდია ელის.

...მატჩის დამთავრებიდან თხუთმეტ წუთში სააგენტო როიტერი ავრცელებს ცნობას: „სენტ ეტიენში წაგებით განაწყენებული ინგლისელი გულშემატკივრები ამტვრევენ ბარებს, სადაც ფეხბურთს უყურებდნენ. მიმდინარეობს ჩხუბი ადგილობრივ, ჩრდილო აფრიკული წარმოშობის ახალგაზრდებთან, რომლებიც „არგენტინას“ ყვიროდნენ. პოლიცია ხულიგნებს იჭერს“.

საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატი გახურდა.

**ილია ბაბუნაშვილი**


REUTERS სენტ ეტიენიდან

პირველი ტაიმის ბოლოს ხავიერ ძანეტიმ (№22) ბრწყინვალედ გაათანაბრა ანგარიში

### არგენტინა

1. როა
14. ვივასი, 2. აიალა, 3. შამოტი
5. ალმეიდა
22. ძანეტი, 11. ვერონი, 8 სიმეონე, 7. ლოპესი
10. ორტეგა
9. ბატისტუტა

20. ოუენი, 9. შირერი
3. ლე სო, 16. სქოულზი, 4. ინსი, 7. ბექემი, 14. ანდერტონი
2. კემპბელი, 5. ადამსი, 12. გ. ნევილი
1. სიმენი

### ინგლისი

შეცვლა: **ბატისტუტა — 19. კრესპო (69), ლოპესი — 20. გალიარდო (69), ლე სო — 6. საუთგეიტიი (71), სქოულზი — 15. მერსონი (79), სიმეონე — 16. ბერტი (92), ანდერტონი — ბეტი (98)**

გაძევება: **დევიდ ბექემი (47)**
გაფრთხილება: **სიმენი, ინსი, ვერონი, სიმეონე, ალმეიდა, როა**

მთავარი მსაჯი: **კიმ ნილსენი (დანია)**

### მატჩის შემდეგ

**დანიელ პასარელა**, არგენტინელთა მწვრთნელი: „ვფიქრობ, ხალხმა დღევანდელი თამაშით ძალიან ისიამოვნა. ბრწყინვალე შეხვედრა იყო, ძალიან დაძაბული. მატჩის პერიპეტიების გახსენება დიდ სიამოვნებას მანიჭებს, რადგან შესანიშნავ გამარჯვებასთან მიბრუნება მიხდება. გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, თუმცა, არ დავმალავ და გეტყვით, რომ უკეთესად თამაშიც შეგვეძლო. ჩვენთვის ახლა მთავარი მეოთხედფინალური მატჩია. წინ არანაკლებ სერიოზული მეტოქე ჰოლანდიაა. ინგლისთან ბრწყინვალე გამარჯვება კი მოვიპოვეთ, მაგრამ ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანი მეოთხედფინალია“.

**გლენ ჰოდლი**, ინგლისელთა თავკაცი: „დაუჯერებელია, ბიჭებმა მაქსიმუმი გაიღეს გამარჯვებისთვის, თუმცა, ჩვენმა ძველმა სენმა პენალტების სათანადოდ ვერგამოყენებამ დაგვღუპა. შეიძლება უადგილოც კია, მაგრამ გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, მეტიც, მოხიბლული. თითქმის საათნახევარი ათი ფეხბურთელით ვთამაშობდით და მაინც შევძელით არგენტინელთა შეჩერება. ეს გმირობის ტოლფასია. ჩვენ ლომებივით ვიცავდით თავს, თუმცა, ბედმა მეტოქეს გაუღიმა და...“

### მატჩის სტენოგრამა

2 წუთი. ლე სო საჯარიმოსთან წაიქცა და ოუენმა დაამატა. ბურთი როამ მოიგერია.
6. საჯარიმოში შეჭრილი სიმეონე სიმენმა წააქცია. ბატისტუტას დარტყმული პენალტი ინგლისელთა ლამის მოიგერია.
10. ოუენის საეჭვო წაქცევისთვის როას კარში პენალტი დაინიშნა. შირერი უძლიერესი დარტყმით ანგარიშს ათანაბრებს.
16. ოუენი ორ მეტოქეს ცდება და საჯარიმოში შეჭრილს მეტად ლამაზი ბურთი გააქვს.
19. კუთხურის შემდეგ ინსმა საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა. ბურთი მცირედით აცდა როას კარს.
25. ძანეტი სახიფათო გარღვევის შემდეგ სიმენის კარში სახიფათოდ ურტყამს.
38. საჯარიმოში შეჭრილმა სქოულზმა ძალიან ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა.
41. ორტეგა ორ მეტოქეს ატყუებს, ბატისტუტას დარტყმა კი მიზანს ცდება.
45. არგენტინელებმა ჯარიმა მახვილგონივრულად გაითამაშეს. ძანეტიმ კი ანგარიში გაასწორა.
48. სიმეონესთან ორთაბრძოლისას ბექემს აძევებენ, არგენტინელს კი აფრთხილებენ.
52. შირერის უძლიერესი დარტყმა როამ ნახტომში მოიგერია.
61. ლოპესმა ცარიელი კარის წინ დააგორა ბურთი, შირერმა კი ნამებით დაასწრო ვივასს.
68. ოუენი კვლავ იჭრება არგენტინელთა საჯარიმოში, მაგრამ მცველი ვარდნით ართმევს ბურთს.
80. კემპბელს გოლი გააქვს, თუმცა, შირერი როას ეუხეშება და ბურთიც არ ითვლება.
87. გალიარდო მარცხენა ფლანგურ გარღვევას აცილებული დარტყმით ასრულებს.
92. შირერთან ორთაბრძოლისას არგენტინელ მცველს ბურთი ხელზე ხვდება. მსაჯის სასტვენი დუმს.
98. ვერონის დარტყმას სიმენი იგერიებს.
99. ინსი ბოლომდე იბრძვის, მეტოქესაც ესხმის, თუმცა, მისი დარტყმული ბურთი მცირედით ცდება არგენტინელთა კარს.
105. ინსმა ოუენი წინ გაიყვანა, თუმცა, ამის დარტყმული კარს აცდა.
118. ადამსმა მერსონის ჯარიმის მერე თავური დარტყმა ააცილა.


REUTERS სენტ ეტიენიდან

ქარივით დაქროდა ჭაბუკი ოუენი სენტ ეტიენის მინდორზე

# გმადლობთ, ხავიერ!

მატჩი №55. 30 ივნისი. ბორდო. სტად ლესიური. 36 500 მაყურებელი

## რუმინეთი 0:1 ხორვატია

0:1 შუკერი (45პ)

ვერაფერს იტყვი. მართალი ყოფილა რუმინეთის არმიის თავგადაპარსული გენერალი ანგელ იორდანესკუ, ერთი დღით ადრე რომ აცხადებდა, შანსები თანაბარია, იმიტომ რომ ჩვენ მსგავსი გუნდები ვართო. რუმინეთი და ხორვატია მართლაც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, ოღონდ ეგ იყო, ექსიუგოსლავიელებს თმები არ ჰქონდათ შეღებილი, რუმინელები კი... რუმინელებმა თმის ბუნებრივ



სლავენ ბილიჩის უკუდარტყმას ბევრი მაყურებელი ჰყავდა

ფერს, როგორც ჩანს, ჭკუაც ზედ მიაყოლეს, ანგელ იორდანესკუმ კი ეგებ წინასწარ იცოდა, რომ ნერვიულობისგან თმისცვენა დაეწყებოდა. ალბათ, ამიტომაც გადაიხოტრა თავი.

თუმცა რა დროს რუმინელთა თმებზე საუბარია. ეს ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალი გახლდათ. მაგრამ შეიძლება, ვცდები. ვერ გეტყვით. განა შეიძლება, ასეთი დონის ტურნირის მერვედფინალი ასეთი უინტერესო და ამაზრზენი გამოდგეს? ალბათ, არა. მოკლედ, მერვედფინალი იყო, თუ რაც იყო, რუმინეთი ხორვატიას დაუპირისპირდა, მაგრამ განა ამას ჰქვია დაპირისპირება? შეხვედრა უფრო ამხანაგურს ჰგავდა, ვიდრე ოფიციალურს, მნიშვნელოვანს.

მატჩი როგორადაც დაიწყო, ისევე დასრულდა — მოსაწყენი თამაში გახლდათ პირველიდან ბოლო წუთამდე. სახიფათო მომენტები კანტიკუნტად იქმნებოდა, დაძაბულობაც იშვიათად იფეთქებდა ხოლმე. ვუყურებდი აღმოსავლეთევროპელთა ცოდვილობას და გული მიკვდებოდა, რომ მოგვიანებით არგენტინა ინგლისს უნდა დაპირისპირებოდა და ერთ-ერთი ამათგანი ჩემპიონატს უნდა დამშვიდობებოდა. თუმცა რას იზამ, ასე მოიტანა ცხოვრებამ. შეუძლებელი იყო ამ შეხვედრისთვის გექქირა და მატჩის მალე დასრულების სურვილი არ გაგჩენოდა. ერთადერთი, რაც გულშემატკივარს ასე თუ ისე აკავებდა, ის გახლდათ, რომ სწორედ ამ თამაშში უნდა გარკვეულიყო გერმანელთა სამეოთხედფინალო მეტოქე.

თამაში არგენტინელმა არბიტრმა ხავიერ კასტრილიმ განსაჯა. ვერ გეტყვით რუმინელთაგან მიყენებული ოთხი წლის წინანდელი წყენა ამოძრავებდა, თუ სხვა რამ (1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში არგენტინა 2:3 დამარცხდა რუმინეთთან), მაგრამ ფაქტია, რომ პენალტი ბოგდან სტელეას კარში არ უნდა დანიშნულიყო. მიზეზი სრულიად მარტივია — ჩებოტარიუს წესები არ დაურღვევია.

და მაინც, პენალტი დაინიშნა. ახლა ყველაფერი ხორვატთა პენალტისტ დავორ შუკერს და რუმინელთა კარის დარაჯ სტელეას უნდა გადაეწყვიტათ. გამორბენი, დარტყმა, ბურთი ბადეშია, ხორვატები ხარობენ, მაგრამ რა ხდება? მსაჯი პენალტის ხელახლა დარტყმას ითხოვს. თურმე შუკერის თანაგუნდელი წესით დაშვებულზე ადრე შეჭრილა საჯარიმოში, ეს კი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა გოლის გასაუქმებლად. დავორ შუკერს, როგორც ჩანს, მეტად მტკიცე ნერვები აქვს. მის მდგომარეობაში ჩავარდნილ ბევრ ფეხბურთელს შეიძლება მეორე დარტყმა გოლად ვერ ექცია, შუკერმა კი ეს მოახერხა — ბურთი, როგორც პირველად, ახლაც მარცხენა კუთხეში შეფრინდა. განსხვავება მხოლოდ ის გახლდათ, რომ სტელეამ ამჯერად კუთხე გამოიცნო, თუმცა ბურთს ვერ შესწვდა. შუკერის დარტყმული დაახლოებით ისეთი გახლდათ, ქომაგები „აუღებელს" რომ ეძახიან. ერთი სიტყვით, ანგარიში გაიხსნა — ხორვატები დაწინაურდნენ 1:0.

შუკერის გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში. ხორვატებმა რუმინელები დაამარცხეს და მეოთხედფინალში გავიდნენ, იქ კი ძველი მეტოქე გერმანია დახვდათ. მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტთა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა მერვედფინალის წინ განაცხადა, თუ რუმინელებს ვძლიეთ, მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებითო?! თამამი და ამავდროულად საინტერესო განცხადებაა, არა? არ ვიცი, თქვენ როგორ ფიქრობთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ბლაჟევიჩი ცოტა არ იყოს უცნაური პიროვნებაა. ევროპის 1996 წლის ჩემპიონატი იყო და აცხადებდა, ძალიან მინდა, მეოთხედფინალში გერმანია ან ინგლისი შემხვდესო. შეხვდა კონტინენტის მომავალ ჩემპიონებს და წააგო. ახლა ამბობს, ოქროს თასი ჩვენი იქნება, თუ მერვედფინალს გავცდებითო. არა, ბლაჟევიჩი ჭეშმარიტად უცნაური კაცია.

გადაყვითლებული რუმინელების ამბავი, ალბათ, კარგად მოგეხსენებათ. ეტყობა, მათ კარგ ხელზე ვერ შეიცვალეს თმის ფერი — რაც თავები გადაიყვითლეს, მას მერე მატჩიც ვერ მოიგეს, არადა, ხალხს რომ ჰგავდნენ კოლუმბიასაც სძლიეს და ინგლისსაც. ახლა, ხორვატებთან, ვერც ადრიან ილიე ირჯებოდა ძველებურად, უფრო სწორედ ისე, როგორც პირველ შეხვედრებში და ვერც ვიორელ მოლდოვანი გახლდათ გოლის იშტაზე მოსული. გეორგე ჰაჯის ხსენება კი საერთოდაც აღარ ღირს — მართლაც ძლიერ გამთამაშებელს სახელიღა შერჩენოდა, ახლა კი ისიც თვალსა და ხელს შუა ეცლება. გადაყვითლებამ რუმინელებზე დამღუპველად იმოქმედა — ანგელ იორდანესკუს ბიჭები შინისკენ აიბარგნენ.

ზანტი თამაში, მოსაწყენი ფეხბურთი, არაფრით განსხვავებული ორი ტაიმი. ალბათ, ხავიერ კასტრილიმაც კარგად უწყოდა, შეხვედრა მოსაწყენი რომ იქნებოდა და დამატებითი დროის თავიდან აცილებაზე პირველ ნახევარშივე იზრუნა. მართლაც ძალიან საეჭვო პენალტი დანიშნა, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. ეტყობა, კასტრილის ძალიან სურდა თანამემამულეთა ინგლისთან თამაშის მოსვენებულად ნახვა და...

ხდება ხოლმე, განსაკუთრებით კი მსოფლიოს, ანაც ევროპის ჩემპიონატის დროს, ფეხბურთით გადაღლილი, გულშემატკივარი ველარ ძლებს და ღამის თამაშებისას, თუნდაც ძალიან საინტერესო შეხვედრები იყოს, ჩაეძინება ხოლმე. გუშინ, მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთი — ხორვატიის თამაში საღამოს გაიმართა, თანაც მოსაწყენი მატჩი გახლდათ, ქომაგს რომ ჩასძინებოდა, გასაკვირი სულაც არ იქნებოდა. ეს ხომ ფეხბურთი არ იყო, ეს რაღაც ფეხბურთისმაგვარი გახლდათ.

ისე კი, მადლობა კასტრილის დამატებით დროს თავიდან აცილებისთვის.

**ლაშა გოდუაძე**

### მატჩის შემდეგ

**დავორ შუკერი**, მატჩის ერთადერთი გოლის გამტანი: „ბედნიერი ვარ, რომ უძლიერესი მეტოქის დამარცხება შევძელით. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან დაძაბულად წარიმართა და თავიდანვე ჩანდა, პირველი გოლის გამტანი გამარჯვებას ხელიდან არ გაუშვებდა. სასიხარულოა, რომ თამაშის ერთადერთი გოლი სწორედ ჩვენ გავიტანეთ. ის კი არა, მატჩის მიწურულს ვალდებულიც კი ვიყავით, ანგარიში ორამდე გაგვეზარდა. ჩვენი გუნდის ფეხბურთელებმა მთელი სული და გული ჩადეს დღევანდელ თამაშში და ამიტომ გამარჯვება სრულიად სამართლიანად მოვიპოვეთ, ჩემს მიერ გატანილ თერთმეტმეტრიანზე კი რა უნდა ვთქვა. როდესაც პირველი დარტყმის შემდეგ ბურთი კარში დავინახე, შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ არბიტრის სასტვენმა გახარების საშუალება არ მომცა. არ ვიცი, რისთვის გამამეორებინა დარტყმა მსაჯმა. თუმცა ახლა ამაზე საუბარი არც ღირს, მთავარია, პენალტი მეორედაც წარმატებით შევასრულე და მეკარეს არანაირი შანსი არ დავუტოვე. არადა, როდესაც პენალტის ნიშნულს მეორედ მივუახლოვდი, გულმა ათმაგად დაიწყო ფეთქვა. კარების კონტურს კარგად ვერც ვარჩევდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, დარტყმას არ გავაცუდებდი და ასეც მოხდა. ახლა მეოთხედფინალში გერმანელებთან შეხვედრა გველის. ჩვენ მწარედ გვახსოვს ამ გუნდთა 1996 წელს ინგლისში, ევროპის ჩემპიონატზე გამართული თამაში. მაშინ გერმანელები საოცარ ფეხბურთს აჩვენებდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ცუდ ფორმაში არც ჩვენ ვიყავით, მათ მაინც დაგვამარცხეს და შინ ნაადრევად გაგვისტუმრეს. თუმცა სადღეისოდ ვითარება შეიცვალა. გერმანია სულაც არ ჰგავს იმ გუნდს, რომლის დამარცხებაც წარმოუდგენელია. ამიტომ ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა საწადელს მივაღწიოთ. აქედან რა გამოვა, ამას თავად მეოთხედფინალური შეხვედრა გვანახებს."

**ანგელ იორდანესკუ**, რუმინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „ჩვენ საზიზღრად ვითამაშეთ. ასეთი ფეხბურთის ჩვენების შემდეგ თავმოყვარე გუნდს უფლება არა აქვს, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გასვლაზე რაიმე პრეტენზიები გააჩნდეს. ხორვატები დღეს ბრწყინვალედ ირჯებოდნენ. მათ საგულდაგულოდ გადაკეტეს საკუთარი კარისკენ მიმავალი გზები და ერთი ნორმალური შეტევის განხორციელების საშუალებაც კი არ მოგვცეს. მეტოქე ჩვენზე გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა. ის კი არა, თამაშის უფრო დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლო. მოკლედ, ხორვატებმა დამსახურებულად მოიგეს და ამაზე არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს."

**მიროსლავ ბლაჟევიჩი**, ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „დღევანდელი მოგებით უზომოდ ბედნიერი ვარ. არ ვიცი, რუმინეთის ნაკრებს რა დაემართა, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია მთელს მსოფლიოში და მისი დამარცხება მხოლოდ უდიდესი თავდადებით მიიღწევა. არც კი მეგონა, შეხვედრის ჩვენთვის სასურველი ანგარიშით დამთავრება ასე თუ გაგვიადვილდებოდა. ჩემმა ფეხბურთელებმა კარგად შეასრულეს მიცემული დავალებები და მეტოქის სახიფათო თავდამსხმელებს არც ერთი რეალური მომენტის შექმნის საშუალება არ მისცეს. ხორვატია პატარა ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოს რუკაზე არც თუ დიდი ხნის წინ გამოჩნდა. ამიტომ ეს გამარჯვება ჩვენთვის კიდევ უფრო დასაფასებელია. ეს ხომ უდიდესი წარმატებაა ამ ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში. საგულისხმოა, რომ მეოთხედფინალში გერმანიის ნაკრებთან გვიწევს შებმა."



ილიე, იურჩიჩი და პეტრესკუ — კარისაკენ პირი-პირ!

| რუმინეთი | | | |
|---|---|---|---|
| | 1. სტელეა | | |
| 2. პეტრესკუ | 6. გე. პოპესკუ | 5. გალკა | |
| 18. ფილიპესკუ | 16. გა. პოპესკუ | 13. ჩებოტარიუ | 8. მუნტეანუ |
| | 10. ჰაჯი | | |
| 11. ილიე | 9. მოლდოვანი | | |
| 9. შუკერი | 19. ვლაოვიჩი | | |
| | 10. ბობანი | | |
| 17. იარნი | 7. ასანოვიჩი | 21. იურჩიჩი | |
| 6. ბილიჩი | 4. სტიმაჩი | 20. სიმიჩი | 13. სტანიჩი |
| | 1. ლადიჩი | | |
| ხორვატია | | | |

შეცვლა: ჰაჯი — 21. კრაიოვეანუ (57), გა. პოპესკუ — 14. ნიკოლესკუ (61), პეტრესკუ — 15. მარინესკუ (76), ვლაოვიჩი — 2. კრპანი (77), სტანიჩი — 15. ტუდორი (83)

გაფრთხილება: გე. პოპესკუ, პეტრესკუ, ილიე, ბობანი, ბილიჩი

მთავარი მსაჯი: ხავიერ კასტრილო (არგენტინა)

### მატჩის სტენოგრამა

5 წუთი. მოლდოვანმა საჯარიმოში ილიეს დაუგორა, რომლის ძლიერად დარტყმულს სტიმაჩი მადგრად დაუხვდა.

7. ბოგდან სტელეამ შუკერს ზედიზედ ორჯერ არ გაატანინა.

9. გაბრიელ პოპესკუმ შორიდან გაისროლა, ოდნავ არაზუსტად.

10. ვლაოვიჩის ძლიერად დარტყმული სტელეამ კუთხურზე გადააგდო, იქვე კუთხურიდან ჩაწოდებისას ბილიჩმა თავურით ვერ იხეირა.

13. ბილიჩის პასით კარის სიახლოვეს მყოფი ასანოვიჩი ურტყამს ძლიერად, სტრელეა აკრობატული ნახტომით კუთხურზე იგერიებს.

30. იურჩიჩის ძლიერად გასროლილმა რუმინელთა კარის ძელს ჩაუქროლა.

35. საჯარიმოში მყოფი ილიე ბურთის მეკარისთვის თავზე გადაგდებას ცდილობდა, თუმცა იგი ლადიჩს ვერ ააცილა.

36. იარნიმ ფლანგზე ჩაუქროლა რუმინელ მცველებს, მაგრამ საჯარიმოს კიდიდან ჩაწოდება მალკამ არ აცალა.

40. ჰაჯის მიერ შესრულებული ჯარიმა ოდნავ არაზუსტია.

45. გაბრიელ პოპესკუმ საჯარიმოში ასანოვიჩი წააქცია, მსაჯმა პენალტი დანიშნა. შუკერმა ზუსტად კი დაარტყა, მაგრამ არბიტრმა წესის დარღვევა დააფიქსირა, ხელმეორედ იმავე კუთხეში „რეალის" ფორვარდმა სტელეას აუღებელი გაუტანა 0:1.

46. ვლაოვიჩის დარტყმულს სტელეა ადგილზე ხვდება.

49. გეორგე ჰაჯიმ ბურთი შორიდან ერთ-ერთ ფოტორეპორტიორს თავში მოარტყა.

53. მუნტიანუს ჩაკიდული მოლდოვანიმ კარში დარტყმის მაგივრად საჯარიმოდან თავით გამოიტანა.

55. სტანიჩმა, გრძელი რეიდი განახორციელა, შუკერმა გონივრული პასით ბობანი ცარიელი კარის წინ დატოვა, ჩობოტარიუმ დაასწრო და თავით ვარდნაში ბურთი კუთხურზე გადააგდო.

63. შუკერი პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ ვერ აჯობა, სტელეამ ფეხით აულო.

78. რადუ ნიკულესკუმ კარის გასწვრივ ჩააწოდა, ლადიჩს ველარ აацილა.

87. საჯარიმში შესულ კრაიოვიანუს ჩაწოდებლის მაგივრად დარტყმა გამოუვიდა, ბურთი გარედან მოხვდა კარის ბადეს.

90. ასანოვიჩის პასით ბობანი მეკარესთან ერთიერთზე რჩებოდა, მისი დარტყმული სტელეამ ხელით მოიგერია. იქვე იმავე ბობანმა ჩობოტარიუს მოჰპარა ბურთი და კრპანს უპასა, ამან კი როგორღაც მოახერხა და ზედიზედ ორჯერ სტელეას ვერ ააცილა.

# ჩემპიონატის დღიური

**29 ივნისი**

ლაშა გოდუაძე

# ბომბარდირები

### უზერებელი გერმანელი

თამაშის დამთავრებამდე 15 წუთი რჩებოდა. ცოტაც და გერმანია სირცხვილს ჭამდა, მაგრამ გადარჩა. იურგენ კლინსმანის ზუსტად დარტყმულმა ბურთმა კამპოსის კარის ბადე კინაღამ გახია, ლუი[illegible]ნდესის ადრე გატანილი გოლი [illegible]აბათილა. ამ ბურთმა მექსიკელები სულიერად დასცა, წელში გატეხა. 1:1-ის შემდეგ სავსებით ლოგიკური გახლდათ, რომ გერმანიამ მეორე ბურთი გაიტანა.

იურგენ კლინსმანი თავის მესამე მსოფლიოს ჩემპიონატზეც ძლიერად თამაშობს. 34 წლისაა და აგერ მესამე გოლიც გაიტანა, ვეტერანის კვალობაზე კი ეს ურიგო შედეგი ნამდვილი არ გახლავთ.

— ამ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთს ვეთხოვები. ჩემი გზა უკვე გავლიე, დროა, ადგილი სხვებს დავუთმო. ვიცი, კარიერაში ბოლო შეხვედრებს რომ ვთამაშობ და ამიტომაც ვცდილობ, გულშემატკივრებს თავი უზადო ბომბარდირად დავამახსოვრო. ეს იქნებ გამომდის, იქნებ არც კი, მაგრამ სულითა და გულით რომ ვცდილობ გოლების გატანას, ამას თქმა არ უნდა. ჩემი უპირველესი მოვალეობა მუდამ გოლების შეგდება იყო. საქმეს არც ახლა, კარიერის დასასრულს ვუღალატებ — მექსიკელებთან მატჩის მეორე დღეს გერმანელები ისვენებდნენ. ეს სიტყვებიც კლინსმანმა პრესკონფერენციაზე წარმოთქვა.

იურგენისთვის უპირველესი მინდორზე მართლაც გოლების გატანა გახლდათ. სადაც უნდა ყოფილიყო, გნებავთ, „შტუტგარტში", ანაც „ინტერში", თუნდაც „ტოტენჰემში", მას მუდამ ეს ევალებოდა. გერმანელი საქმეს ჩინებულად, პირნათლად ასრულებდა და სწორედ დაუღალავი შრომის შედეგად მიაღწია იმას, რომ დღესდღეობით მსოფლიოში იგი ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად ითვლება.

— მე იურგენის მუდამ მწამდა. მსოფლიოს ჩემპიონატამდე იგი ნაკრებში მაინცდამაინც კარგად ვერ თამაშობდა, ამის გამო ბევრი მაკრიტიკებდა, გუნდში რატომ აგყავსო. პრესამ კლინსმანი ვეტერანად მიიჩნია, მაგრამ პრესა პრესაა, ნაკრების მწვრთნელი კი ნაკრების მწვრთნელი. ჩემს გუნდში ისინი იქნებიან, ვინც მე მომწონს და მჭირდება. იურგენ კლინსმანი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ნაკრებში და, უშედეგო თამაშის მიუხედავად, მის კაპიტნად დარჩენილიყო. ვფიქრობ, გამიმართლა — იგი ამ ჩემპიონატზე შეუდარებელია. ამას სამი გატანილი გოლიც მოწმობს — ბუნდესნაკრების მწვრთნელ ბერტი ფოგტსს მართლაც ბევრს უკიჟინებდნენ კლინსმანის გამო. იმასაც ეუბნებოდნენ, ეგ კაცი ნაკრების მოთხოვნილებებს ველარ აკმაყოფილებსო, მაგრამ ბერტიმ ავისა თუ კეთილის მსურველთა რჩევებს ყური არ ათხოვა და საკუთარი პრინციპებით იხელმძღვანელა. იურგენმაც არ უმტყუნა და კრიტიკოსებიც გაჩუმდნენ.

მაინც, რა გამოარჩევს კლინსმანს სხვა თავდამსხმელთაგან? უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ძნელად მოსახელთებელი ფორვარდია. შეუძლებელია, მას მეურვე მიუჩინო და მცველმა ბოლომდე გაართვას თავი საქმეს. იშვიათად მომხდარა, მეურვეს კლინსმანი თამაშიდან გამოეთიშოს, ძალიან იშვიათად. თან თუ ერთ კონკრეტულ შეხვედრაში მცველმა კლინსმანის „ჩაკეტვა" მოახერხა, მეორედ იგი გერმანელ თავდამსხმელს ველარ უმკლავდება. მოუხელთებლობის გარდა კლინსმანს პოზიციის შერჩევის ბრწყინვალე უნარი გააჩნია, მეტად გამოზომილი და ძლიერი დარტყმა ახასიათებს, ჩინებულად თამაშობს თავით და რაც მთავარია, თანაგუნდელებს სახიფათო გადაცემებითაც ამარაგებს. ერთი სიტყვით, კლინსმანს აქვს ყველა ის თვისება, რაც უმაღლესი კლასის თავდამსხმელს სჭირდება.

ახლა მსოფლიოს ჩემპიონატია. უდიდესი საფეხბურთო ტურნირი, ოთხ წელიწადში ერთხელ რომ იმართება და პლანეტის უძლიერეს გუნდებს და მოთამაშეებს რომ უყრის თავს. ასეთი დონის შეჯიბრზე თამაში თავისთავად მიღწევაა, მაგრამ თუ იქ მესამედ, მეოთხედ ან საერთოდ, მეხუთედ, ეს უკვე



იურგენ კლინსმანი — თუ გაუმართლა, იგი მსოფლიოს ჩემპიონატების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდება



კრისტიან ვიერი — ერთადერთი ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატზე, ყველა შეხვედრაში რომ შეძლო გოლის გატანა

გუნდისა და, ცხადია, მოთამაშის სიძლიერეზე მიუთითებს. კლინსმანი მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამედაა. 1990 წელს, იტალიაში, იგი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ოთხი წლის შემდეგ აშშ-ში თავად კლინსმანმა ბრწყინვალედ კი ითამაშა, მაგრამ ნაკრები შერცხვა. ახლა, საფრანგეთში კი იურგენი კვლავ ჩინებულად ირჯება, ნაკრებიც შეუდარებლად არა, მაგრამ ძველებურად ძლიერად თამაშობს.

სულ სხვაა ჩემპიონატზე თამაში და სულ სხვა ამ ტურნირზე გოლის გატანა. მსოფლიოს პირველობების ისტორიაში გოლი ბარე ათასამდე ფეხბურთელს ექნება გატანილი, მაგრამ იშვიათია, ვინმეს ათჯერ დაელაშქროს მეტოქეთა კარი. იურგენ კლინსმანი ერთ-ერთი ამ იშვიათთაგანია — იგი მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე 11 გოლს ითვლის. მასზე მეტი მხოლოდ ლეგენდარულ გერმანელ თავდამსხმელ გერდ მიულერს (14 გოლი) და ფრანგ ჟიუსტ ფონტენს (13) გაუტანიათ. სხვათა შორის, გერმანელთა მე-18 ნომერი ეს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთაგან ერთადერთია ამ ტურნირის ისტორიაში, ათზე მეტი ბურთი რომ შეუგდია. ამავდროულად, მას მიულერის მიღწევის გამეორების, ანაც, უკეთეს შემთხვევაში, დამხობის ყველაზე რეალური შანსი აქვს. რა როგორ იქნება, ამას დავინახავთ, ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ კლინსმანი გოლების გატანას ძალიან ეცდება. რეკორდის დასამხობად არა, უფრო გუნდის სახეიროდ. მთავარი გამარჯვებაა, თორემ რეკორდები თავად მოვა.

— მაშინ, კამპოსის კარში გოლი რომ გამქონდა, სრულიადაც არ მიფიქრია, რომ რეკორდს ვუახლოვდებოდი. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, ნაკრებმა იმარჯვოს. ჩემით, ცხადია, სხვისი გოლებითაც გაიხაროს, თორემ რეკორდი რა ბედენაა. გამარჯვებას ყველაფერი მოსდევს. ეს რეკორდიც ერთ-ერთი ამათგანი იქნება. თუ შევძელი და მიულერის მიღწევას გადავაჭარბე, ხომ კარგი, თუ არა და არც ამით დაიქცევა რამე — კლინსმანი უდავოდ მართალია. რეკორდზე ფიქრმა შეიძლება ფეხბურთელი დაღუპოს. შესაბამისად გუნდმაც იზარალოს, ასეთი რამ კი, ცხადია, არასასურველია.

გერმანია მეოთხედფინალშია. წინ მორიგი მეტოქეა. წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე არიელებს სწორედ ამ ეტაპზე დაუცდათ ფეხი. ბერტი ფოგტსსაც და მის რჩეულ ფეხბურთელებსაც სწამთ, რომ ისტორია არ განმეორდება.

...ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთო, უთქვამს გუშინ კლინსმანს.

### კენგურუ იტალიაში

რამდენიმე წლის წინ ვიერი ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული, გულშემატკივართათვის უცნობი ფეხბურთელი გახლდათ, ისეთი, ამქვეყნად მილიონობით რომ არიან. თამაშობდა ერთი პირტიტველა გაიტალიელებული ავსტრალიელი ბიჭი იტალიის რომელიღაცა სერიაში და ალბათ ვერც იფიქრებდა, რომ სულ რაღაც ორ წელიწადში იგი მეორე სამშობლოს საუკეთესო ფეხბურთელთა გუნდის უპირველესი თავდამსხმელი გახდებოდა.

1996-97 წლების დასაწყისში ტურინის „იუვენტუსის" გამოცდილმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ ერთ-ერთი პროვინციული გუნდის ბრგე თავდამსხმელს დაადგა თვალი და ვინმე კრისტიან ვიერი უმალ იტალიის ყველაზე ტიტულოვან გუნდში მიიწვია. ვინ არის ვიერი? — კითხულობდნენ ქომაგები, მაგრამ ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ ფორვარდი საქმეში არ ეხილათ, სწამდათ, რომ უცნობი მათ იმედებს გაამართლებდა. ლიპის ადრეც გაუკეთებია მსგავსი რამ. რომელიღაცა გუნდიდან წამოიყვანდა უცნობ მობურთალებს, მერე კი ვარსკვლავად აქცევდა. განა ასე არ გაიცნო საფეხბურთო სამყარომ მორენო ტორიჩელი, ანჯელო დი ლივიო, ფაბრიციო რავანელი, ალესანდრო ბირინდელი? ვიერიც ერთ-ერთი ამათგანი გახლდათ: მოლოდინი გამართლდა — კრისტიანს ჩინებულად აეწყო თამაში, გოლებიც ბევრი შეაგდო. კარგ თამაშს კი მოჰყვა ის, რაც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება ხოლმე — კრისტიან ვიერი იტალიის ნაკრებში აიყვანეს.

1997 წლის 29 მარტი. იტალია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში მოლდოველებს მასპინძლობს. „სკუადრა აძურა" 2:0 იგებდა, დებიუტანტმა ვიერიმ მესამედ რომ შეარხია ექსსაბჭოთაკავშირელთა კარის ბადე. საბოლოოდ იტალიამ 3:0 მოიგო, ვიერიმაც სადებიუტო მატჩი გოლით აღნიშნა, მაგრამ მთავარი აქ ის იყო, რომ კრისტიანმა იტალიის ნაკრების არსებობის მანძილზე გუნდის გოლთა ნუსხა დაამრგვალა — ვიერის გოლი მე-1000 გამოდგა „სკუადრა აძურას" ისტორიაში.

ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რათა ვიერის ნაკრების ძირითადში დაემკვიდრებინა ადგილი. სეზონის ბოლოს, როცა იგი მადრიდის „ატლეტიკოში" გადაბარგდა, თითქოს შეირყა კიდეც მისი სანაკრებო პოზიციები, მაგრამ ესპანეთის ჩემპიონატის ბომბარდირობამ ჩეზარე მალდინი, რბილად რომ ვთქვათ, ვალდებული გახადა, ვიერი მსოფლიოს ჩემპიონატზე წაეყვანა.

კრისტიან ვიერი მსოლიოს ჩემიონატზე წავიდა, იქ კი ყველას დაანახა, რომ იგი დღესდღეობით ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელია არა მარტო იტალიაში, საერთოდ მსოფლიოში.

— მისი თამაშით კმაყოფილი ვარ. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ვიერი ძლიერი თავდამსხმელია, ჩემის აზრით, ამ ჩემპიონატზე საუკეთესოც. იგი თავის საქმეს პირნათლად ასრულებს — გოლები გააქვს. ფორვარდს კი მეტი არაფერი მოეთხოვება — იტალიელთა თავკაც ჩეზარე მალდინის აზრი ვიერის თაობაზე, ვფიქრობ, ურიგო არ გახლავთ.

„ატლეტიკოს" თავდამსხმელი მართლაც პირნათლად ასრულებს თავის საქმეს — იგი ერთადერთი ფეხბურთელია მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა შეხვედრაში რომ გაიტანა გოლი.

— ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშები წინ არის. იტალიამ უნდა დაამტკიცოს, რომ მსოფლიოს ჩემპიონობის ღირსია. „სკუადრა აძურა" ძალიან ძლიერი გუნდია, ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ იქ მე ვთამაშობ, არა, უბრალოდ, მართლაც ასეა. წინ საფრანგეთია, ჩვენ გვწამს, რომ მეტოქეს დავამარცხებთ, მე კი ჩემის მხრივ ვეცდები, გოლი შევაგდო. მთავარია, ნაკრებმა იმარჯვოს, თორემ ბომბარდირობას როგორმე მოევლება — ვიერი მეოთხედფინალის წინ იმედიანადაა. დაბა სენლისში, იტალიელთა საწვრთნელ ბაზაზე ყველას ასეთივე განწყობა აქვს.

მეოთხედფინალამდე ბევრიც არ დარჩა. თვალისდახამხამებაში გაირბენს ივლისის პირველი ორი დღე, მერე კი იტალია საფრანგეთს დაუპირისპირდება.

ბრძოლა აქ იქნება, თუ იქნება!

### კი, მაგრამ, ჩვენ?

თავდამსხმელები არც კლინსმანით დაწყებულან და, მით უმეტეს, არც ვიერით. უამრავი ფორვარდია დედამიწის ზურგზე, თუმცა გამორჩეული ცოტა. ამ მსოფლიოს ჩემპიონატზეც კლინსმანისა და ვიერის გარდა კიდევ არიან ძლიერი თავდამსხმელები. თუნდაც არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა, ინგლისელი ალან შირერი, ბრაზილიელი რონალდო ხომ თავისთავად და კიდევ მრავალი და მრავალი, მაგრამ ძნელია, სათქმელი ერთ საგაზეთო წერილში ჩაატიო...

დღეს კლინსმანი და ვიერი ვიკმაროთ, ბატისტუტასა და რონალდოზე კი მერე იყოს.

# როდის მოიცლის ხალხი და ქვეყანა?

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

დიდი ინტერესით მოელოდნენ ევროპული დერბის მორიგ მატჩს. ორივე გუნდი ეგრეთ წოდებული სანახაობრივი ფეხბურთის მიმდევარია, რომელიც პირველ რიგში მაყურებელს მოსწონს და თვალს სიამოვნებს — ტექნიკა, სისწრაფე, თავით კარგი თამაში, კომბინაციური ფეხბურთი, რომლისთვისაც არც ფიზიკაა უცხო. პირველ სამ თამაშში ჰოლანდიელებმა 7 გოლი გაიტანეს და 2 მიიღეს, იუგებმა კი 4 და 2; ნიდერლანდელებს ფეხბურთში დიდი წარმატებები ჰქონიათ და თავისი ტრადიციებით ღირსეულად ამაყობენ კიდეც. ისინი 1910 წლიდან არიან ფიფას წევრები, შვიდჯერ გამოდიოდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე; საკლუბო გუნდებში მარტო „აიაქსის“ მიღწევებიც კი საკმარისია. ქვეყანაში ფეხბურთის პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ 15-მილიონიან ქვეყანაში თითქმის მილიონი ლიცენზირებული ფეხბურთელია.

პროგნოზების მოჭარბებაც იგრძნობოდა და გარკვეული აჟიოტაჟიც კი იყო ამ მატჩის წინ. პრესა აჭრელებული იყო ფეხბურთელების — მხოლოდ ჰოლანდიელების — გამონათქვამებით. „ვფიქრობ, რომ იუგოსლავიას კარგი გუნდი ჰყავს. ისინი თამაშობენ ძალზე კომპაქტურ ფეხბურთს და მათ ჰყავთ ძალიან ძლიერი ფეხბურთელები ტექნიკურადაც და ტაქტიკურადაც. ზოგიერთ მათგანს პირადად ვიცნობ და შემიძლია ვთქვა — ისინი ინტელექტუალური მოთამაშეები არიან. ჩვენებმა ეს მატჩი კარგად უნდა ჩაატარონ, რადგან გაგვაჩნია კონკრეტიკაც და მოტივაციაც“ — ეს სიტყვები ეკუთვნის ჰოლანდიელთა მწვრთნელს გუს ჰიდინკს. ახლა რამდენიმე ფეხბურთელის მატჩისწინა განწყობასაც გავეცნოთ. ფრანკ დე ბური: „ორივე გუნდი ძლიერია შეტევაში, ორივეს თამაშის ერთნაირი სტილი გვაქვს. მაგრამ ჩვენ უფრო გამჭრიახნი ვართ და ფეხბურთის გაგების უნარი გვაქვს. მე ორი წელი ველოდი ამ დღეს. მინდა, რომ ეს პირველობა საუკეთესო იყოს ჩემს ცხოვრებაში“. პატრიკ კლუივერტი: „ჩვენ თავს კარგად ვგრძნობთ. მზად ვართ მოსაგებად. ისე, ორივე გუნდი კარგია. მე არ ვიცი, დამაყენებენ თუ არა. მე ყოველთვის მზად ვარ“. როლანდ დე ბური: „თავს კარგად ვგრძნობთ. ჩვენი გუნდი უკეთესია. უკეთესი დაცვა გვყავს და უფრო უკეთ შეგვიძლია ვითამაშოთ შეტევაში. ჩვენი გამარჯვების მჯერა“. მარკ ოვერმარსი: „ორი აზრი არაა, ჩვენ უკეთესი გუნდი გვყავს, რომელშიც მე თავს ძალზე კარგად ვგრძნობ. საფრანგეთში, ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენი შეტევის ხაზი და გვსურს, ფინალი ვითამაშოთ“. ყველაზე თავშეკავებული მაინც დენის ბერხკამპი იყო — ძნელი თამაში გველისო, თქვა.

ახლა გავეცნოთ ორი იუგოსლაველის აზრსაც. პრედრაგ მიატოვიჩი: „მატჩი ძალზე ძნელი იქნება. ჩვენ არა ვართ ფავორიტები, მაგრამ ძალზე პატივმოყვარენი ვართ. საკვალიფიკაციო მატჩებმა დაადასტურა — ჩვენ თამაში ვიცით“. დრაგან სტოიკოვიჩი: „ეს მატჩი უნდა იყოს სპექტაკლი, ამას განსაზღვრავს ორივე გუნდის სათამაშო სტილი. მარსელის ველოდრომის სტადიონზე ჩვენ წასაგებად არ გამოვალთ“. და კიდევ ერთის — ივან ჯურკოვიჩის — იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოსაზრება: „ჩვენი გუნდი ევროპისთვის ჯერ კიდევ უცნობია და აუტსაიდერად ითვლება. ჩვენი ქვეყანა და ხალხი თანდათანობით იცლის ჩვენთვის. ოქროს გოლის თაობაზე მე ჩემი აზრი მაქვს — ეს ფიფას კონსერვატორული აზრის პრაქტიკაში გატარებაა.“

თამაშის წინ სლობოდან სანტრაჩმა, იუგოსლაველთა მწვრთნელმა გამოაცხადა, რომ გუნდს მიზნად დაუსახა ერთით მეტი გოლის გატანა, ვიდრე გაიტანენ ჰოლანდიელები.

ახლავე ვიტყვი — დრაგან სტოიკოვიჩის სიტყვები არ გამართლდა — სპექტაკლი არ შედგა. მატჩის განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ იმსხვერპლა და შეიწირა თვით ფეხბურთის ინტერესები.

სხვათა შორის, გაზეთი „ეკიპი“ ყველა მატჩს ექვსვარსკვლავიანი შკალით აფასებს. ეს თამაში, ისევე როგორც საფრანგეთი — პარაგვაი, შეფასდა 3 ვარსკვლავით (საშუალო დონის), მერვედფინალების 6 შეხვედრიდან ყველაზე ცოტა ვარსკვლავი — 2 — მიიღო მატჩმა იტალია — ნორვეგია (საშუალოზე დაბალი). ყველაზე მაღალი — მატჩმა ბრაზილია — ჩილე (5 — ძალზე სასიამოვნო). 4-4 ვარსკვლავი დაიმსახურა დანია — ნიგერიისა და გერმანია — მექსიკის მატჩებმა.

...გარდა წმინდა საფეხბურთო შეჯიბრისა, ყველა მატჩის წინ ერთი, მაგრამ არაოფიციალური შეჯიბრება ტარდება — მონაწილე გუნდების ფანებს შორის. ის ორ ნაწილად იყოფა — მატჩის წინ ქალაქში და სტადიონის შესასვლელში და თამაშის მიმდინარეობისას ტრიბუნებზე. გამონაკლისი არც ამ დღეს იყო. ვფიქრობ, რომ ორივე „მატჩში“ გამარჯვება ნარინჯისფერების — ჰოლანდიელების მხარეს იყო. სასულე ორკესტრიც კი ჰყავდათ ჩამოყვანილი, იყო ერთი ცეკვა-სიმღერა, მარშები, იყვნენ მოხატულები, დროშებით ხელში, ზოგი ტიტველი და ზოგსაც რა ეცვა, ვერ გაიგებდით. მათ შორის ძალზე ბევრს ნაბახუსევობაც აშკარად ეტყობოდა. უფრო სოლიდურნი იყვნენ იუგოსლაველები — მათ წარმოდგენები არ გაუმართავთ. ერთი კი ძალზე ეფექტურად გამოუვიდათ — ჰიმნის შესრულების დროს მთელი ალმოსავლეთი ტრიბუნის გაყოლებაზე პირველი რიგიდან ამოაცურეს და მაყურებლებზე გადაატარეს თავისი ქვეყნის უზარმაზარი დროშა — ერთიანი ნაჭერი ალმოსავლეთ ტრიბუნის მთელ სიგრძეზე. მხოლოდ ერთ ადგილას „გატყდა“ დროშა — ის მოხვდა ჰოლანდიელების კომპაქტურად განთავსების ნაწილში და მათ ცოტა ხანს დააყოვნეს.

ვზივარ ჩემთვის მოჩენილ ადგილზე პრესლოჟაში. ვხედავ, კიდევ ერთი ჩემი კოლეგა მოაცილა მოხალისემ და გვერდით მომისვა. ბუნებრივია, მივესალმე და ისევ ჩემს ფიქრს მივეცი თავი. ვგრძნობ, ვერ ისვენებს. ხელში არაფერი უკავია, არც ბლოკნოტი, არც კალამი, არც დიქტოფონი, არც კომპიუტერი. ზის და აცეცებს თვალებს ეს შავკანიანი ახალგაზრდა. ვერ მოითმინა, გამომელაპარაკა — ბენინიდან ვარ, თუ გაგიგიაო. მე ყასიდად გავეპასუხე — გაგებით კი გამიგია, მაგრამ ფეხბურთს როგორ თამაშობენ, არ ვიცი-მეთქი. ხმა არ გაუცია. შემდეგ ისევ ვერ მოითმინა — სადაურობა მკითხა. რომ ვუპასუხე, უცერემონიოდ ხელი მხარზე დამკრა — არველაძის ქვეყნიდან, არაო! მატჩის დაწყებამდე გაუთავებლად ყვებოდა შოთაზე და არჩილზე. მე „აიაქსის“ ფანი ვარ, მათ შესახებ ყველაფერი ვიციო. მართლაც ბევრი რამ იცოდა. მე რომ ვუთხარი, მთელ ოჯახს, მათ შორის მშობლებსაც კარგად ვიცნობ-მეთქი, რა ბედნიერი ხარო, ეს მითხრა. მეორე ტაიმში უკვე ჩემს გვერდით აღარ იჯდა ბენინელი კოლეგა.

მატჩი უნდა მოეგოთ და მოიგეს კიდეც ჰოლანდიელებმა. ყველა საფეხბურთო კომპონენტში ისინი მოწინააღმდეგეს ჯობდნენ. პირველი ტაიმი პირწმინდად მოიგეს. მეორე ტაიმშიც უკეთ ითამაშეს, მაგრამ ისეთი დიდი სხვაობა უკვე აღარ იყო. ის კი არა, იუგებს პენალტი რომ გაეტანათ მეორე ტაიმის დასაწყისში, ვინ იცის, მატჩი როგორ დამთავრდებოდა. სხვათა შორის, 1990 წლიდან მსოფლიო პირველობის ფინალურ სტადიაზე ეს იყო პირველი გაცუდებული პენალტი ძირითადსა და დამატებით დროში. ამ რვა წლის წინ ჯანლუკა ვიალიმ ააცილა აშშ-ის გუნდის კარს. ამ პერიოდში დანიშნული სხვა 38-ვე პენალტი კარის მიმართულებით ზუსტად იგზავნებოდა.

სხვათა შორის, იუვენტუსელი ჰოლანდიელის ედგარ დავიდსის გადამწყვეტი გოლი 90-ე წუთზე ნაკრების შემადგენლობაში მის მიერ გატანილი პირველი გოლი იყო.

„ესკიპმა“ ჰოლანდიელ ფეხბურთელებს საშუალო გამოუყვანა 5,63 ქულა. მათ შორის ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურეს ფრანკ დე ბურმა და კლარენს ზეედორფმა (6,5-6,5), ბერხკამპმა — მხოლოდ 5, კოკუმ, ოვერმარსმა და ვან დერ სარმა — 5,5-5,5; იუგოსლაველთა გუნდის შრომა მოედანზე შეჯამდა 5,18 ქულით. 5-ზე ნაკლები შეფასება არავის მიეღო. ჩემპიონატზე ყველაზე მაღალი მეკარეების ვან დერ სარისა და ივიცა კრალის თამაშის შეფასებისას უპირატესობა, მცირე, მაგრამ მაინც, „აიაქსის“ გოლკიპერის მხარეს იყო.

სარბიელის არქივიდან



ჰოლანდიამ იუგოსლავიას მოუგო:
იმარჯვებს ის, ვისთვისაც ხალხს და ქვეყანას სცალია


# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

**კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.**

ფსონების მიმღები „კროკოს“ ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი


**მსოფლიოს ჩემპიონატი.** მეოთხედფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 ივლისი | | | | |
| საფრანგეთი — იტალია | (1,7-1,7) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბრაზილია — დანია | (1,1-5,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 4 ივლისი | | | | |
| გერმანია — ხორვატია | (1,2-3,5) | 1,5 | 3,4 | 5,6 |

ჩემპიონი (ფინალისტი)

| | |
|---|---|
| ბრაზილია | 3,0 (1,5) |
| გერმანია | 4,0 (2,0) |
| საფრანგეთი | 4,0 (2,0) |
| იტალია | 4,0 (2,0) |
| ჰოლანდია | 6,0 (3,0) |
| ხორვატია | 8,0 (4,0) |
| დანია | 10,0 (5,0) |

**რუსეთის ჩემპიონატი. მე-15 ტური**

1 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალანია — როსტსელმაში | 1.8 | 3.0 | 4.0 |
| ურალანი — ჟემჩუჟინა | 2.0 | 3.0 | 3.3 |
| კრილია სოვეტოვი — დინამო | 2.1 | 2.3 | 3.2 |
| ბალტიკა — ლოკომოტივი | 2.0 | 2.9 | 3.4 |
| ტიუმენი — ზენიტი | 5.3 | 3.1 | 1.5 |
| სპარტაკი — ჩერნომორეცი | 1.3 | 3.4 | 7.0 |
| ცსკა — შინიკი | 1.7 | 2.9 | 4.0 |
| ტორპედო — როტორი | 2.5 | 2.9 | 2.5 |


პირველი ტაიმი/საბოლოო შედეგის გამოცნობაზე და სხვა კოეფიციენტებს ფსონების მიღების ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი;
№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი;

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# ბოლომდე მებრძოლი პიტბული

ფეხბურთი გუნდური თამაშია, სადაც თერთმეტ კაცს ერთი მიზანი აქვს — მოუგოს მოწინააღმდეგე თერთმეტს. მიუხედავად ამისა, არის შეხვედრები, რომელთა ბედსაც მხოლოდ ერთი ფეხბურთელი წყვეტს ხოლმე. სპორტის ამ სახეობის ისტორიაში ბევრი ასეთი შემთხვევაა დაფიქსირებული — გავიხსენოთ თუნდაც ეუსებიო, დი სტეფანო, მარადონა, რობერტო ბაჯო, რონალდო და ბევრი სხვა. ეს ის პიროვნებები არიან, ვისაც შეეძლო და ახლაც შეუძლია, მარტომ მოიგოს ესა თუ ის მატჩი. ამ ფეხბურთელებს გუნდის ლიდერები ჰქვიათ და ალბათ არ არსებობს მაღალი კლასის კლუბი თუ ნაკრები, მსგავსი მოთამაშე არ ჰყავდეს, თანაც რამდენიმე.

გამონაკლისი არც მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატია, სადაც კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ თუ გუნდს ლიდერი არ ჰყავს, მას დიდი მიზნებისთვის ბრძოლა ძლიერ გაუჭირდება. სწორედ ასეთი კაცის არყოფნით იყო, ტურნირის მასპინძლები კინაღამ საშუალო დონის პარაგვაელებს რომ შეეწირნენ — მათ წინამძღოლი აკლდათ, ზინედინ ზიდანი. სამხრეთამერიკელთა სული და გული ხოსე ლუის ჩილავერტი კი მინდორზე იმყოფებოდა და რომ არა დამატებითი დროის ბოლო წამზე გაშვებული გოლი, იქნებ იგი თავის გუნდთან ერთად ჩემპიონატზე პირველი დიდი სენსაციის ავტორიც გამხდარიყო.

ასე იყო გუშინწინ ჰოლანდია — იუგოსლავიის მატჩშიც. ეს შეხვედრა ხან ერთი, ხან მეორე გუნდის უპირატესობით მიმდინარეობდა და არავინ უწყოდა, რა მოხდებოდა, როგორი იქნებოდა საბოლოო შედეგი. სწორედ აქ გამოჩნდა იმ ფეხბურთელის ფასი, რომელსაც ზემოთ ლიდერი ვუწოდეთ. ასეთი კაცი ჰოლანდიას აღმოაჩნდა, იუგოსლავიას კი — არა და ალბათ ამიტომაც დამარცხდა.

ედგარ დავიდსი მსოფლიოს ფეხბურთში გამოჩენის დღიდან გამრჯე, თავდადებულ მოთამაშედ ითვლებოდა. ზუსტად ამიტომ, როდესაც იგი ამსტერდამის „აიაქსში" გამოდიოდა და მას ლუის ვან გაალი წვრთნიდა, ამ უკანასკნელმა ფეხბურთელს ზედგამოჭრილი მეტსახელი „პიტბული" შეარქვა. პიტბული ძაღლის ჯიშია. ეს ძაღლი იმით არის გამორჩეული, რომ ძალიან ძნელად მოსათვინიერებელია და თუ ისე მოხდა, რომ დაიმორჩილე, იგი ბოლომდე შენი ერთგული იქნება, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. ასეთივე თვისებებით არის დაჯილდოვებული ედგარ დავიდსიც, რაც მას ხშირადაც დაუმტკიცებია. იგი მაშინ იბრძვის ყველაზე მეტად, როცა გუნდი ვერ თამაშობს და ვილაცამ მაგალითი უნდა მისცეს. თუნდაც ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი ფინალი გავიხსენოთ, სადაც „ბებერი ქალბატონი" მართლაც მოხუცი ქალივით ირჯებოდა და მხოლოდ დავიდსი ცდილობდა თავისი უსაზღვრო ჟინით, თამაშში გარდატეხა შეეტანა. მისთვის თუნდაც ერთ თანაგუნდელს რომ მიებაძა, არავინ იცის, 20 მაისს ამსტერდამში რა მოხდებოდა.

დავუბრუნდეთ საფრანგეთი 98-ს და ზემოხსენებულ ჰოლანდია — იუგოსლავიის მატჩს. ღრმად ვარ დარწმუნებული, გუს ჰიდინკი რომ დათმობაზე არ წასულიყო და „პიტბული" მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაეყვანა, ახლა მეოთხედფინალში იუგები იქნებოდნენ. საქმე მხოლოდ გამარჯვების გოლში არ არის. საკუთარ კარში მიღებული ბურთის შემდეგ ჰოლანდიელი ფეხბურთელები დაიბნენ და კარგა ხანს გონს ვერ მოდიოდნენ. ამით იუგოსლავიელებმა ისარგებლეს კიდეც და თითქმის უიმედო მატჩი თავიანთ სასარგებლოდ შეატრიალეს. მაგრამ, როგორც უკვე ავღნიშნე, მათ ლიდერი არ ჰყოლიათ და ეს ინიციატივა სულ მალე გაუშვეს ხელიდან, უფრო სწორედ დავიდსმა გააშვებინა, კაცმა, რომელიც მართლაც ძაღლივით დარბოდა მოედანზე და არავის არაფერს უთმობდა. ამის შემხედვარე მისი მეგობრებიც გონს მოეგნენ, თამაში დაალაგეს და საწადელსაც მიაღწიეს. შეხვედრის მიწურულს ცხადი გახდა, ჰიდინკის ბიჭები გამარჯვებას ხელიდან არ გაუშვებდნენ, მხოლოდ ის იყო საკითხავი, მეორე გოლი როდის გავიდოდა და დავიდსმა აქაც იყოჩაღა — მსაჯის მიერ დამატებულ დროში, მის მიერ დაახლოებით 20 მეტრიდან დარტყმული მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში შეგორდა. „მატჩის მიწურულს ენერგია გამომელია და მწვრთნელს ვთხოვე, შემეცვალე, მაგრამ მან ჩემი მოედანზე დატოვება გადაწყვიტა. რა ძალ-ღონეც შემომრჩა სულ ბოლო დარტყმაში ჩავაქსოვე და გავიტანე კიდეც — განუცხადა დავიდსმა ჟურნალისტებს თამაშის შემდეგ და დაამატა — ერთადერთი, რასაც მინდორზე ვაკეთებდი, ჩემი სამუშაო გახლდათ. ჰოლანდიის ნაკრებში დიდი ფეხბურთელები თამაშობენ და გოლის გატანა ყოველ მათგანს შეუძლია. ამ შემთხვევაში მე გამიმართლა, შემდგომში კი ალბათ სხვისი ჯერი დადგება".



ედგარ დავიდსიც მსოფლიოს ჩემპიონობაზე ოცნებობს

ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა მეოთხედფინალურ მატჩზეც თქვა ერთი-ორი სიტყვა, რაღა თქმა უნდა, ოპტიმისტური: „ჩემთვის აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა ვის შევხვდებით, ვინც არ უნდა იყოს, დიდი პრობლემები ექნება. ჰოლანდიის ნაკრები უძლიერესი გუნდია, იგი მხოლოდ ჩემპიონობაზე ფიქრობს".

გახდება თუ არა ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიოს პირველობის გამარჯვებული, არავინ იცის, მაგრამ როდესაც გუნდში შენს გვერდით ისეთი ფეხბურთელი თამაშობს, როგორიც ედგარ დავიდსია, ჩემპიონობაზე ფიქრიც შეიძლება, „პიტბული" ხომ ბოლომდე იბრძვის.

**დავით ძოვზირიძე**

**ბობი ჩარლტონმა** ყვითელი ბარათი მიიღო. ეს მისი პირველი გაფრთხილებაა საერთაშორისო ფეხბურთში. 32 წლის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩში, ინგლისი-არგენტინის წინააღმდეგ, იგი ცუდად მოქცეულა.

ფიფამ ეს ამბავი გუშინ გამოაცხადა, ინგლის-არგენტინის ახალ თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე. ჩარლტონმა გაოცებისგან პირი დააღო.

იმ წელიწადს, 1966-ში ბობი ჩარლტონმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მეოთხედფინალში ინგლისელებმა არგენტინას მოუგეს. როგორც ირკვევა, სწორედ იმ შეხვედრაში უხულიგნია რაინდად შერაცხულ ლეგენდარულ პიროვნებას. იმ დღეს ორივე გუნდის ფეხბურთელებმა ბევრი იგინეს და ჩარლტონსაც დაცდენია რაღაც.

ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ მაშინ, 66-ში ყვითელი ბარათები არ არსებობდა.

როგორც ფიფას პრესატაშემ კით კუპერმა განაცხადა, სერ ბობი ჩარლტონი გასული წლის შემოდგომაზე იმ შეხვედრის გამო საგანგებოდ დაკითხეს. მსოფლიო ფეხბურთის დიდმოხელენი იკვლევდნენ, მაშინ რომ ყვითელი ბარათი ყოფილიყო, მიიღებდა თუ არა იგი მას და ჩაინიშნა თუ არა მისი ცუდი საქციელი არბიტრმა.

# სერ ბობ, აი თქვენ ყვითელი

ალსანიშნავია, რომ ჩარლტონი ხანგრძლივი და დიდებული კარიერის განმავლობაში ერთადერთხელ გაუფრთხილებიათ. ეს ინგლისის ჩემპიონატის ერთ-ერთ თამაშში მოხდა, როცა საჯარიმოს დარტყმის დროს სერ ბობმა მსაჯს ნათქვამი სწორად ვერ გაუგო და დრო უნებლიედ გააჭიანურა, თუ რაღაც ამდაგვარი.

„ჩვენ ფიფას არქივებში მოვიძიეთ 1966 წლის ინგლის — არგენტინის თამაშის ოქმი და ვნახეთ, რომ სერ ბობი ჩარლტონი მართლა გაუფრთხილებიათ, თუმცა იგი იმწუთას ვერ მიმხვდარა, რომ აფრთხილებენ" — თქვა კუპერმა და დასძინა, რომ შეხვედრის გერმანელი მსაჯის რუდოლფ კრაიტლაინის ჩანაწერებში გაფრთხილებულთა შორის ბობის ძმა ჯეკი ჩარლტონიც არის ნახსენები.

„იმ დღეს არგენტინელთა და ინგლისელ ფეხბურთელებს, აგრეთვე მსაჯს შორის საშინელი ლანძღვა-გინება იყო ატეხილი. მაშინ, 60-იან წლებში ხალხმა ერთმანეთის ენები არ იცოდა. ვგონებ, ბობის ვითარების დამშვიდება სურდა და რაღაც თქვა, მსაჯმა კი ეს ლანძღვად მიიღო." — დიპლომატიურად განაგრძო კუპერმა.

მატჩი, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, 8 წუთით შეწყდა. „უემბლის" მინდორზე


საქინფორმის არქივიდან

პოლიციელიც კი გავიდა, რადგან არგენტინელთა მსაჯის მიერ გაძევებული კაპიტანი ანტონიო რატინი მოედანს არ სტოვებდა. რატინის გაძევების მიზეზი კრაიტლაინთან გაუთავებელი კამათი გახლდათ.

სწორედ იმ თამაშის მერე იშვა ყვითელი ბარათის შემოღების იდეა. მაშინ, 1966 წლის 23 ივლისს, თამაშის კომისარმა, ინგლისელმა კენ ასტონმა (იგი რატინის გასაყვანად თავადაც ჩავიდა მოედანზე) „უემბლიდან" შინისაკენ მიმავალ გზაზე, მანქანაში მოიფიქრა, რომ მდგომარეობა სხვა ხარისხის ბარათსაც ითხოვს.

ასტონი მიხვდა, რომ რაკილა ფეხბურთელები და მსაჯები ერთმანეთის ენებზე ვერ ლაპარაკებენ, საჭიროა ყველასთვის გასაგები ნიშანი.

1970 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მსაჯები უკვე ყვითელ ბარათს აფრიალებდნენ.

# ოქროს მეგოლე იტალიას მეუქრება

...1993 წლის ნოემბრის საღამო იდგა. პარიზში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩიც ფრანგები ბულგარელებს ხვდებოდნენ და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლების მოსაპოვებლად ფრეც აძლევდათ ხელს. მატჩის თითქოს ურიგოდ არ წარმართეს და დამთავრებამდე სულ ორიოდ წუთით ადრე სანუკვარი 1:1-იც კიაფობდა ტაბლოზე, მაგრამ აქ მოხდა ის, რამაც მთელი საფეხბურთო საფრანგეთი გააოგნა. მაშინ, როცა თამაშის უკანასკნელი წამი (!) მიმდინარეობდა, სტუმართა თავდამსხმელი ემილ კოსტადინოვი საჯარიმო მოედანში შეიჭრა და უძლიერესი დარტყმით ფრანგები დაამწუხრა...



ბლანი პარაგვაელთა კარში გატანილ ოქროს გოლს ზეიმობს

ამგვარად დაკარგა საფრანგეთის ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური, რომელიც თითქმის უკვე ჯიბეში ედო. დამარცხებით გამოწვეული ელდა იმდენად დიდი იყო, რომ ნაკრების ზოგიერთმა ფეხბურთელმა კარიერის დასრულებაზე ფიქრიც კი დაიწყო. მათ შორის ფრანგების ერთ-ერთი წამყვანი მცველი ლორან ბლანიც იყო.

მას შემდეგ, რაც 1990 წელს იტალიაში ჩატარებულ მსოფლიოს პირველობაზე საფრანგეთის ნაკრები ვერ მოხვდა, ბლანი სწორედ 1994 წლის ჩემპიონატზე ამყარებდა იმედს. იმ დროისთვის ლორანი 28 წლის გახლდათ. ეს კი ის ასაკია, როდესაც მოთამაშე გონებრივადაც და ფიზიკურადაც სრულყოფილია. ბლანაც ამიტომ დაწყდა გული — მან კარგად უწყოდა, რომ ადვილი შესაძლებელი იყო, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა საერთოდ აღარ ღირსებოდა. ოთხი წლის შემდეგ საფრანგეთის პირველობისთვის ის ხომ 32-ის მოიყრებოდა და თანაც იმ დროისთვის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მოხვედრასაც ვერავინ აღუთქვამდა.

ყოველივე ამის გამო ბლანს ფეხბურთზე გული აუცრუვდა და მან სპორტიდან სამუდამოდ წასვლა გადაწყვიტა. „საფეხბურთო კარიერის დასრულებაზე მართლაც სერიოზულად ვფიქრობდი, მაგრამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ემე ჟაკემ მანუგეშა, საოცრად დამამშვიდა და განზრახვაზე ხელი ამაღებინა. ახლა, როცა წარსულ დღეებს გადავხედავ სულაც არ მწყდება გული, რომ ეს გადაწყვეტილება მივიღე" — იხსენებს ლორან ბლანი.

მართლაც, საფრანგეთში ვერც ერთ გულშემატკივარს ვერ ნახავთ, ბლანის ხუთი წლის წინანდელი გადაწყვეტილება გაუმართლებლად რომ მიაჩნდეს. ეს ფეხბურთელი ხომ ამ დღეებში თავისი ქვეყნის ნამდვილ ეროვნულ გმირად იქცა. ის ქომაგები, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობას ყურადღებით ადევნებენ თვალს, მიხვდებიან, რაზეცაა საუბარი. ბლანი სწორედ ის მოთამაშეა, რომელმაც პარაგვაელებთან გამართულ მერვედფინალურ შეხვედრაში ეგრეთ წოდებული ოქროს გოლი გაიტანა და თავის ნაკრებს მეოთხედფინალში გამსვლელი საგზური დაუბევა.

ფრანგებისთვის ბლანის გოლი მართლაც ძვირად ფასობს, რადგან სამხრეთამერიკული გუნდი ნამდვილი „კერკეტი კაკალი" აღმოჩნდა და ჩემპიონატის მასპინძლებმა 114-ე წუთამდე ვერაფრით მოახერხეს მათი კარის დალაშქვრა. მაგრამ მაშინ, როცა მთელი სტადიონი მატჩისშემდგომ თერთმეტმეტრიანების სერიას ელოდა, ფრანგთა ლიბერო მოულოდნელად შეიჭრა პარაგვაელთა საჯარიმოში და გამარჯვების გოლი გაიტანა. გოლი, რომლის წყალობითაც ფრანგებმა მერვედფინალური დაბრკოლება გადალახეს და ახლა პარასკევს „სტად დე ფრანსზე" საუკეთესო ოთხ გუნდს შორის მოსახვედრად იტალიელებს შეერკინებიან.

— ლილიან ტურამი და მარსელ დესაი მთელი მატჩის განმავლობაში წინ წასვლას მიშლიდნენ და მაფრთხილებდნენ, რომ ზურგის მოშიშვლება კონტრშეტევებით განთქმულ პარაგვაის ნაკრებთან შეიძლება დამღუპველი ყოფილიყო, მაგრამ მე მათ არ დავუჯერე. ჩვენ ხომ გოლის გატანის რამდენიმე ურეალურესი შესაძლებლობა გავუშვით ხელიდან და რაც დრო გადიოდა, მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა სულ უფრო ძნელი ხდებოდა. პენალტების სერიამდე საქმის მიყვანა კი არ გვსურდა, რადგან ეს ლატარეაა, რომელშიც ნებისმიერ შეიძლება გაუღიმოს ბედმა. ამიტომ საფრანგეთის ნაკრებს გოლი დამატებით დროში სჭირდებოდა და მეც ამის გარდა სხვაზე არაფერზე ვფიქრობდი — ამბობს ბლანი, რომელსაც, სხვათა შორის, ფიფას ეს წესი თავიდან მეტად არ მოსწონდა და თვლიდა, რომ გამარჯვებულის ამგვარად გამოვლენა უაღრესად არასამართლიანი გახლდათ, მაგრამ პარაგვაელებთან თავის გამოჩენის შემდეგ, როგორც ჩანს, აზრი იცვალა:

— თავიდან, როგორც კი გავიგე, რომ ფიფა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ოქროს გოლის წესის გამოყენებას აპირებდა, ძალიან აღვშფოთდი, მაგრამ ახლა, როდესაც ამ წესით თავად ვისარგებლე, უკვე სხვაგვარად ვფიქრობ. მართალია, საფრანგეთის ნაკრები მეოთხედფინალში გავიდა და თითქოს საპრეტენზიო არაფერი უნდა გვქონდეს, მაგრამ მაინც მინდა ავღნიშნო, რომ ეს წესი, ცოტა არ იყოს, უსამართლოა, პარაგვაელებმა მართლაც ვაჟკაცურად იბრძოლეს და უკეთეს შედეგს იმსახურებდნენ, მაგრამ რას იზამ, ეს ხომ ფეხბურთია და მე ბედნიერი ვარ, რომ გამარჯვება სწორედ ჩვენ მოვიპოვეთ.

— დარწმუნებული ვარ, წლევანდელ ჩემპიონატზე გამარჯვების სერიას მეოთხედფინალში არ შევწყვეტთ. ყველას მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე გამორჩეულ თამაშს ვიხილავთ. მე კი ვფიქრობ, იტალიელებთან ორთაბრძოლა პარაგვაის ნაკრებთან ჩატარებულ მატჩზე მეტად არ გაგვიჭირდება. მეტოქეთა დამარცხება უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს და ყოველი მოგებული შეხვედრა კიდევ უფრო დიდ წარმატებების მისაღწევად განგვაწყობს. ასე რომ, საფრანგეთის ნაკრების გულშემატკივრებს შეუძლიათ მშვიდად ბრძანდებოდნენ — „სკუადრა ატურას" არაფერს დავუთმობთ — აცხადებს ბლანი და მისი შემართება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ პარასკევს გამარჯვებულის ბედი უდიდეს ბრძოლაში გადაწყდება.

**ირაკლი ხმელიძე**

# გერმანული დაცვა დაიბზარა



იურგენ კოლერი

გერმანიის ნაკრები თავის მეოთხედფინალურ მატჩს, შესაძლოა, სერიოზული დანაკლისით შეხვდეს. საქმე ისაა, რომ გამოცდილი მცველი იურგენ კოლერი მექსიკელებთან შეხვედრის წინ გამართულ ბოლო ვარჯიშზე დაშავდა და როგორც გახსოვთ, იმ მატჩში არ უთამაშია. ექიმების განცხადებით, ფეხბურთელმა მარჯვენა ფეხის კუნთი დაიზიანა და ჯერჯერობით იმის თქმა, თუ რამდენი ხანი დასჭირდება მის მკურნალობას, ძნელია. ნაკრების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ვოლფგანგ ნიერბახმა კი აღნიშნა, კოლერს იმ მატჩში რომ ეასპარეზა, მისი კარიერის დასრულების საშიშროება შეიქმნებოდაო. თავად კოლერი მომავალს ოპტიმისტურად უყურებს და იმედოვნებს, რომ მეოთხედფინალში თამაშს შეძლებს: „ვარჯიში ნელ-ნელა დავიწყე, მორიგ შეხვედრამდე დრო კიდევ არის და, ალბათ, ამ პერიოდში ტრავმის მკურნალობას მოვასწრებ კიდეც".

დაშავებულია გერმანელთა მეორე წამყვანი უკანახაზელი თომას ჰელმერიც. მას მარცხენა ფეხის ტრავმა აქვს, რომელიც მექსიკელებთან შეხვედრაში მიიღო და ამიტომაც პირველივე ტაიმში გამოცვალეს. ისევე, როგორც კოლერს, მასაც დიდი იმედი ჰქონია, რომ მომდევნო მატჩში ითამაშებს. თუმც ექიმები ამის გარანტიას ვერც მას აძლევენ.

# მათეუსის მორიგი რეკორდი


ლოთარ მათეუსი

მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი 37 წლის ლოთარ მათეუსისთვის მართლაც საიუბილეო გამოდგა. გარდა იმისა, რომ გერმანიის ნაკრები კარგად ასპარეზობს და უკვე მეოთხედფინალში გავიდა, რაშიც დიდი წვლილი მათეუსსაც მიუძღვის, მან რამდენიმე რეკორდის დამყარებაც მოახერხა. იგი მეორე ფეხბურთელია მექსიკელთა მეკარე კარბახალის შემდეგ, ვინც ზედიზედ ხუთ მსოფლიოს ჩემპიონატში სცადა ძალა. აგრეთვე მას ამ ტურნირის ისტორიაში თავისი ნაკრების შემადგენლობაში 24 შეხვედრა აქვს ჩატარებული. და აი, მექსიკელებთან გამართული მატჩის შემდეგ მის აქტივს კიდევ ერთი მიღწევა შეემატა — ლოთარმა მსოფლიოს პირველობებზე გერმანელთა რიგებში 1958 წუთი ითამაშა — თანამემამულე უვე ზეელერზე რვა წუთით, ხოლო არგენტინელ დიეგო მარადონაზე 15-ით მეტი. ვეტერან ფეხბურთელს რეკორდების ნუსხის გაზრდის საშუალება კიდევ აქვს, რადგან ყველაზე ცოტა ერთ შეხვედრაში უნდა იასპარეზოს.

# საფრანგეთშიც არიან ოზები

ავსტრალია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევიდან, რომ ვერ გავიდა სულ კრისტიან ვიერის ბრალი ყოფილა. უფრო სწორად, იმათი ბრალი ყოფილა, ვინც ვიერი ხელიდან გაუშვა და საშუალება მისცა იტალიის ნაკრების ფეხბურთელი გამხდარიყო. მოკლედ ავსტრალიელებმა რომ დაინახეს ვიერის მსოფლიოს ჩემპიონატის თამაშებში გოლი გოლზე გააქვს, ძალიან განერვიულდნენ და თითზე იკბინეს მაგრამ...

დღეს კრისტიან ვიერი ავსტრალიელთა ყველაზე საყვარელი ფეხბურთელიცაა. კენგურუთა სამშობლოში ვინც შეეგუა იმ აზრს, რომ იტალიელი ფორვარდი იტალიელია და არა ოზი, ანუ ავსტრალიელი, თავგამოდებით ქომაგობს კიდეც მას. ამ არეულობის მიზეზი კი გახლავთ ის, რომ კრისტიან ვიერი იტალიაში დაბადების შემდეგ, ავსტრალიაში იზრდებოდა.

„მართალია სოკერუ (ავსტრალიის ნაკრების ზედმეტსახელია) საფრანგეთში არ არის, მაგრამ ვიერი და ხორვატი ანტე სერიჩი იქ არიან, ორივენი ჩვენი საფეხბურთო სკოლის აღზრდილები გახლავან და ამიტომაც ვამაყობთ" — წერდა გაზეთი „ჰერალდ სანი".

საკუთრივ ავსტრალიელთა იმედები, მოგეხსენებათ, ირანის ნაკრებმა დაამხო. სოკერუმ, ტერი ვენეიბლზის ხელმძღვანელობით, გასული წლის ნოემბერში ოთხ წუთში ორი გოლი გაუშვა და მატჩი, რომელსაც 2:0-ს იგებდა, 2:2 დაამთავრა. ეს სიდნეიში მოხდა, მანამდე, კი თეირანში მეტოქეებმა 1:1 ითამაშეს და შესაბამისად, სხვის მოედანზე გატანილი გოლის წყალობით საფრანგეთის სტადიონებზე გამოსვლის უფლება ირანელებმა მოიპოვეს.

ამრიგად ოზი ქომაგები ცარიელ-ტარიელნი დარჩნენ, მაგრამ მაინც ნახეს გამოსავალი, მათ ავსტრალიური წარმოშობის ბიჭებს დაუწყეს მხარდაჭერა.

დიახ, ასეთი ბიჭი კრისტიან ვიერია. იტალიელი ვარსკვლავი 11 წლის განმავლობაში სიდნეიში ცხოვრობდა და საუბრისას დღემდე ავსტრალიურად უქცევს.



კრისტიან ვიერის იტალიელთა და ავსტრალიელთა გულების გასახარად გოლები მრავლად გააქვს

როგორც გითხარით ვიერი იტალიაში დაიბადა, მაგრამ სამი წლისა მწვანე კონტინენტზე გადააბარგეს საცხოვრებლად. მამამისი რობერტო 60-70-იან წლებში საკმაოდ კარგ ფეხბურთელად ითვლებოდა აპენინებზე, მოთამაშის კარიერის დამთავრების შემდეგ კი სიდნეის კლუბმა „მარკონი ფეარფილდმა" მწვრთნელის თანამდებობა შესთავაზა, მანაც ცოლ-შვილს ხელი ჩასჭიდა და შორეულ ქვეყანაში გადასახლდა.

ვიერების ოჯახი სიდნეის დასავლეთ გარეუბანში საცხოვრებლად 11 წლით დარჩა და შინ, იტალიაში მხოლოდ 1988 წელს დაბრუნდა, როდესაც კრისტიანი უკვე 14 წლისა გახლდათ.

ახლა წარმოიდგინეთ რა დღეში არიან ვიერის ბავშვობისდროინდელი მეგობრები. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მათ სიხარულს საზღვარი არ აქვს, ძმაკაცი მსოფლიოს პირველობაზე მოედანს უგოლოდ არ სტოვებს.

დღეს, ავსტრალიური გაზეთები სავსეა კრისტიან ვიერის ბავშვობისდროინდელი შეყვარებულების ამბებით. ისინი კოცნას უგზავნიან იმ პატარა ბიჭს, რომელთანაც ოდესღაც სიდნეის მალებში განმარტოვდებოდნენ ხოლმე, მაგრამ ყველაზე მეტად „მარკონი ფეარფილდის" ის თაობაა გახარებული 1987 წელს 14 წლიანები რომ ერქვათ.

ვიერის ყოფილი თანაგუნდელები მას უდიდესი პოტენციალის ფეხბურთელად ახასიათებენ, თუმცა არიან ისეთებიც „ცოტა ზარმაცად" რომ იხსენიებენ და ამბობენ ვიერის სინამდვილეში ფეხბურთი ძალიან არც კი უყვარსო.

ყველაზე მეტად კი მწვანე კონტინენტზე თავად ვიერის ერთი გამონათქვამი მოსწონთ. ბომბარდირი აღიარებს რომ მისი კერპი სპორტში არის... ავსტრალიის მოკრიკეტეთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი ალან ბორდერი.

ბორდერმა ეს რომ წაიკითხა, თვალზე ცრემლი მოადგა და ვიერის ავტოგრაფიანი ტაფელა გაუგზავნა, თანაც შეუთვალა, იცოდე იტალიის ნაკრებს თავგადაკლული ვქომაგობო.

„გავიკითხე და მითხრეს, რომ ვიერი ბავშვობაში ჩინებული მოკრიკეტე ყოფილა, თანაც ცაცია. ეჭვი არ მეპარება, ფეხბურთს რომ არ გაჰყოლოდა ჩვენი სახეობის დიდი ვარსკვლავი გახდებოდა".— ამბობს ბორდერი.

**პაპუნა ძედია**

# შთამბეჭდავი საფრანგეთი ზიდანის იმედზეა

მართალია, საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში ყველაზე მეტი გოლის გატანა მოახერხა, მაგრამ ეს გუნდი რომ ძლიერი თავდასხმით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის, ეს მათ მიერ პარაგვაელებთან ჩატარებულმა მერვედფინალურმა მატჩმაც დაადასტურა. კვირის შეხვედრაში თვალნათლივ ჩანდა, რომ ჩემპიონატის მასპინძლებს შეტევაში დიდი პრობლემები აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ დამატებითი დროის ბოლო წუთებზე ლიბერო ლორან ბლანის ერთადერთი გოლის წყალობით მათ, როგორც იქნა, გატეხეს მტკიცედ შეკრული და მწყობრად მოქმედი სამხრეთამერიკელთა დაცვა, არა გვგონია, ასეთი თამაშით მათ მეოთხედფინალური პაექრობის მოგება შეძლონ. მით უმეტეს, იტალიის ნაკრები ამ ჩემპიონატზე არც ერთ სხვა გუნდს არ ჰგავს და მათი წინააღმდეგობის დაძლევა არცთუ იოლი იქნება.

— ჩემი გუნდის ფეხბურთელები პარაგვაელებთან დიდი თავდადებით კი თამაშობდნენ, მაგრამ თავდაჯერება და სიზუსტე აშკარად აკლდათ. მატჩის წინ ისინი გავაფრთხილე, რომ ადრეული გოლის გატანის შემთხვევაში თამაში გაცილებით გაუადვილდებოდათ. თუმცა ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც თავდაპირველად ვგეგმავდით. პარაგვაელებმა საოცარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ისინი დაცვის ისეთი უბადლო ოსტატები არიან, მათთვის გოლის გატანა თითქმის წარმოუდგენელია. რომ არა ბლანის ოქროს გოლი, არავინ იცის, ის შეხვედრა როგორ დასრულდებოდა — განაცხადა მატჩის შემდეგ ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ემე ჟაკემ, რომელმაც ერთ პრესის წარმომადგენლის კითხვაზე, იტალიელებთან მატჩში გარჯას როგორღა აპირებთო, უპასუხა:

— გეთანხმებით, ისეთი თამაშით, როგორიც პარაგვაელებთან ვაჩვენეთ, მეოთხედფინალში არაფერი გვესაქმება. გაძლიერება ძირითადად თავდასხმას სჭირდება, რადგან ასეთი პასიურობით იტალიელებს ნამდვილად ვერ დავამარცხებთ.

ჯგუფურ ტურნირში ფრანგებმა საუდელებს, სამხრეთ აფრიკელებსა და დანიელებს ისე იოლად სძლიეს, რომ მათ სიძლიერეში ძნელად თუ შეიტანდა ვინმე ეჭვს. გუნდმა სამ შეხვედრაში ცხრა გოლი გაიტანა, ისე, რომ საკუთარ კარში მხოლოდ ერთი გაუშვა. თუმცა პარაგვაელებთან მატჩმა დაამტკიცა, რომ ძლიერ მცველებთან დაპირისპირებისას ფრანგების თავდამსხმელები იბნევიან და დიდ პრობლემებს ვერ უქმნიან მეტოქეს. მოკლედ, გუნდს ისეთი ყაიდის ფორვარდი აკლია, იტალიელი კრისტიან ვიერი ანაც არგენტინელი მეგოლე გაბრიელ ბატისტუტა რომ არიან.

ემე ჟაკეს უნიჭიერესი მცველები და ნახევარმცველები ჰყავს და შედარებით სუსტ მეტოქეებთან შეხვედრისას ამათი მეშვეობითაც იოლად გადიოდა ფონს. ნაკრების თავდასხმა მრისხანედ არც აქამდე გამოიყურებოდა, მაგრამ ახლა კრისტიან დიუგარისა და ტიერი ანრის ტრავმების შემდეგ მთავარი მწვრთნელი ნამდვილად საგონებელშია ჩავარდნილი. წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მეგოლემ — ანრიმ პარაგვაელებთან შეხვედრაში თავი ვერაფრით გამოიჩინა. ერთადერთი სახიფათო მომენტი მისი მონაწილეობით მაშინ შეიქმნა, როდესაც პირველი ტაიმის 39-ე



ემე ჟაკე: შევძლებთ კი მეოთხედფინალში იტალიელთა ძლევას?

წუთზე ფორვარდის უძლიერესმა დარტყმამ კარის ძელი შეაზანზარა. სპეციალისტების აზრით, ამ დროს მოედანზე ფრანგების ნაცვლად ვიერი რომ ყოფილიყო, იტალიელი ასეთ ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან ნამდვილად არ გაუშვებდა. 20 წლის ანრისთვის მერვედფინალური მატჩი მეტად სავალალოდ დასრულდა. ერთ-ერთ სათამაშო მომენტში პარაგვაელ მცველთან შეტაკებისას თავდამსხმელმა მარცხენა კოჭის მძიმე ტრავმა მიიღო და მოედანი ექიმების დახმარებით დატოვა.

— მეტად საწყენია, იტალიელებთან მატჩში ანრის გარეშე თუ დავრჩით. ჩვენ ხომ საუდელებთან შეხვედრაში კრისტოფ დიუგარიც გამოგვაკლდა, რომელსაც მარჯვენა თეძოს კუნთი დაეჭიმა და გამოჯანმრთელებას, ალბათ, მხოლოდ ნახევარფინალებისთვის შეძლებს. თუ მის ტრავმას ტიერის არყოფნაც დაემატა, აღარ ვიცი, მეოთხედფინალში შეხვედრისთვის რა ვილონო — განაცხადა საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ემე ჟაკემ.

დიუგარი ნახევარფინალებისთვის კი მომჯობინდება, მაგრამ, შესაძლოა, იქ აღარავის დასჭირდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ფრანგებს მანამდე უძნელესი თამაში აქვთ და საკითხავია, საერთოდ შეძლებენ თუ არა ამ ბარიერის დაძლევას. ამიტომ ჟაკე ნახევარფინალზე ფიქრით თავს ზედმეტად არ იტვირთავს და „სკუადრა აძურასთან" ორი ფორვარდის — დავიდ ტრეზეგესა და სტეფან გივარშის დაყენებას ყველაზე მომგებიანად მიიჩნევს.

აღსანიშნავია, რომ ეს ორი ფეხბურთელი აქამდე საფრანგეთში დიდად არ გამოირჩეოდა. ტრეზეგე პარაგვაელებთან მთელი შეხვედრის მანძილზე ჩრდილში იყო მოქცეული და მიუხედავად იმისა, რომ 114-ე წუთზე საჯარიმო მოედანში მოულოდნელად შეჭრილ ბლანს დროული და გამოზომილი პასი სწორედ მან მიაწოდა, მერვედფინალურ თამაშს ამ ფორვარდის აქტივში ნამდვილად ვერ შევიტანთ. რაც შეეხება გივარშს, იგი მინდორზე მხოლოდ 77-ე წუთზე გამოჩნდა და სამახსოვროც არაფერი გაუკეთებია.

ნაკრების წინა ხაზის სისუსტე ნახევარმცველ დიდიე დეშამპსაც კარგად მოეხსენება, თუმცა იტალიელებთან მატჩის წინ იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ ფრანგები გოლის გამტანი ფეხბურთელების ნაკლებობას არ განიცდიან.

— გეთანხმებით, ამ ბოლო დროს გახშირებულმა ტრავმებმა დიდი პრობლემები შეგვიქმნა თავდასხმაში, მაგრამ აუცილებელი ხომ არ არის, თამაშში გოლი მაინცდამაინც ფორვარდმა გაიტანოს. ჩვენ გუნდში მსოფლიოს კლასის რამდენიმე შემსრულებელი გვყავს და მათ მეტოქეთა მეკარეების დამწუხრება წინა ხაზის მოთამაშეებზე ნაკლებად როდი ეხერხებათ — ასე ფიქრობს დეშამპი, რომელსაც ყველაზე მეტად დისკვალიფიკაციის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებული ზინედინ ზიდანის იმედი აქვს.

— ზიდანი საფრანგეთის ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელია და მთელი გუნდის თამაში მასზეა აგებული. ამიტომ ორ შეხვედრაში მისი არყოფნა მეტად დაგვეტყო. თუმცა, ახლა ზიზუ (ზიდანის მეტსახელია — ი.ხ.) კვლავ მწყობრშია, რაც იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ იტალიელებთან მოგება არ გაგვიჭირდება.

გახსოვთ, ალბათ, ზიდანი საუდელების წინააღმდეგ გამართულ მატჩში მეტად უდიერად მოექცა წაქცეულ მეტოქეს, რომელსრაც ზემოდან დაახტა. ამის გამო ფიფამ ფეხბურთელს ორი თამაშით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. მაგრამ ფრანგებმა ვაჟკაცურად გადაიტანეს ეს უიღბლობა და ახლა მეოთხედფინალში თავიანთ წამყვან ნახევარმცველთან ერთად შეებმებიან „სკუადრა აძურას".

**ირაკლი ხმელიძე**

გიო აჴვლედიანის




# რატომ უნდა მოუგონ ფრანგებმა იტალიელებს და იტალიელებმა ფრანგებს

### ფრანგებმა

ჩემპიონატის მასპინძლებმა კარგად იციან: ფრანგული ფეხბურთის, მათი ნაკრების დღევანდელი ხასიათი (სხვათა შორის, საკმაოდ ფერადი) გამორიცხავს იმას, რომ ამ გუნდმა სხვა ქვეყანაში იბრძოლოს მსოფლიო ჩემპიონობის, ან რომელიმე დიდი ტიტულისთვის.

ეს საქმე უფრო დიდ ფრანგულ გუნდებსაც ვერ მოუხერხებიათ უცხო მხარეში.

საფრანგეთის დღევანდელი ნაკრები სწორედ შინ გამარჯვებაზე ორიენტირებული გუნდია. ეს გუნდი სწორედ იმისთვის იქმნებოდა, რომ შინ მოეგო მსოფლიო ჩემპიონატი. ამიტომ შინაურ კედლებს ამ გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამხანაგური თამაშების უმრავლესობასაც ემე ჟაკეს გუნდი შინ მართავდა. ის, რომ შინ თამაშობს, საფრანგეთის გუნდისთვის დიდად ხელშემწყობი პირობაა.

მსოფლიოს ჩემპიონატის ოთხი თამაში საფრანგეთის ნაკრებმა ისე გალია, რომ ერთადერთი გოლი გაუშვა. ისიც ისეთ თამაშში, რომელსაც აღარაფერი სჭირდებოდა, რომელიც მაინც მოიგო და რომელშიაც მეორე შემადგენლობით ითამაშა. ესეც არ იყოს და ფრანგებს კარგი, იოლი ჯგუფი ხვდათ წილად. მათი თამაში განავარდებასავით იყო. ფეხბურთელებს კარგი განწყობა და იმედი გაუმყარდათ. თანაც, ჟაკემ იმის საშუალებაც გამონახა, რომ ლამის ყველა ფეხბურთელი გამოეშვა მინდორზე და ძირითადის ხალხს ამოსუნთქვის დროც ჰქონდა და ფეხიც ისე არ მოღლია, როგორც ბევრ სხვას.

საფრანგეთის თანაბარძალოვანი სათამაშო რგოლები ჰყავს. ენერგიული, ჯანიანი ფეხბურთელები და მწყობრიო თამაშიც შეუძლია, თუკი კურაჟს დაიჭერს ხოლმე. ესეც გასახსენებელია: ჟაკეს გუნდი ჩემპიონატამდე უფრო ჯანიანი და მშრალი ჩანდა, ჩემპიონატის მსვლელობის დროს გვარიანად იმპროვიზაციულია და რაღაცეებით ოდინდელ ფრანგულ ნაკრებებსაც კი გვაგონებს. ეს, ალბათ, ცუდი არ უნდა იყოს, თუმცა, იტალიელებთან შეხვედრაში რამდენად გაამართლებს, ამის მარჩიელობას ვერ მოვყვები.

ფრანგთა გუნება-განწყობილებისა და უპირველესად კი თამაშისთვის დიდი სტიმული და სიხარული ის არის, რომ ძირითადს ზინედინ ზიდანი უბრუნდება. ზიდანის გამოჩენას ამ მატჩისთვის გამორჩეული მნიშვნელობა აქვს. ზიდანი საუკეთესო გამთამაშებელი და შემტევია სერია A-ში. წელს ზედიზედ მეორედ დაისაკუთრა სკუდეტო და იტალიელთათვის ის ფსიქოლოგიურადაც რთული კაცია. ასევეა დეშამიც, თუმცა ამ კაცის გაქანება სხვაა, ზიდანისა კი სხვა. ორივენი ხუთი თითივით იცნობენ იტალიელებს და მათი უპირატესობაც იმაშია, რომ იტალიელებისა არა მხოლოდ ყველაფერი იციან, არამედ მათზე გამარჯვებულის განწყობაც აქვთ.

პრინციპში, იტალიელთა საუცხოოდ მცნობია მცველი ლილიან ტურამიც, რომელსაც დელ პიეროსთან ჭიდილი მოუწევს. ასევეა, იური ჯორკაეფიც და საერთოდ, სერია A-დან გამოსულ ფრანგთაგან იტალიელებთან შეხვედრაში გამორჩეულად ამაღლებულ განწყობას უნდა ველოდოთ.

ფრანგული ნახევარდაცვა კი შემოქმედებითად უფრო მაღლა დგას იტალიურზე.

კიდევ რა?

ალბათ ის, რომ ფრანგები თავიანთი პირველი ტიტულისკენ მიილტვიან. მსოფლიო ჩემპიონატზე მგონი ეს პირველადაა, რომ ფრანგები საოცარ ძალმოსილებას, ან რწმენას შეიგრძნობენ. მათი ხელწერა მტკიცეა და გუნდი პარაგვაელებთან მომქანცველ მატჩშიაც კი არ გატეხილა. მოულოდნელად და მიზანმიმართულად მიიწევდა გამარჯვებისკენ.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ: მსუბუქად რომ ვთქვათ, „სტად დე ფრანსი“ არა მხოლოდ მეოთხედფინალში მოელის ფრანგებს, არამედ ნახევარფინალშიც და ფინალშიც. შეიძლება ითქვას, ამ სტადიონს სახელი მასპინძელთა გამარჯვებას უნდა უკავშირდეს. ფრანგთა პროგნოზი ამართლებს — ჯერჯერობით მათი გუნდი მშვიდობით მოვიდა საგანგებოდ აშენებულ სტადიონზე.

### იტალიელებმა

ფრანგები მიზანმიმართულად და მოულოდნელად კი უტევდნენ პარაგვაელთა კარს, მიზანთა უტეხობა კი უჩვენეს, მაგრამ ეს მომქანცველი მატჩი იყო. არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სხვაგვარადაც. ფრანგთა გამარჯვებულის ფსიქოლოგია პირველად წააწყდა ჯებირს.


სარბიელის არქივიდან

ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს — სკუდეტოს მფლობელი ზიდანი იტალიელთა დაჯაბნას გაჩვაეულია

ყოველივე ამის ფონზე კი ის გვახსენდება, რომ ფრანგებს ნაღდი, სუფთა დამამთავრებლის პრობლემა აქვთ. საერთაშორისო გაქანების მეგოლე მათ გუნდში მხოლოდ ჩემპიონატმა უნდა წარმოაჩინოს. გივარში, ტრეზეგე და თვით დიუგარიც ვერ გაუტოლდებიან ბატისტუტას და შირერს. ასევე, იტალიელთა კრისტიან ვიერისაც, რომელმაც თავისი დონე და უნარი ჩემპიონატზეც წარმოაჩინა. იტალიელთა მეგოლეს მხარში დელ პიერო უდგას, თუმცა, მისი თამაში ამ ჩემპიონატზე ოდნავ თვითმიზნური ჩანს ჩეზარე მალდინის მხრიდან.

ფრანგებისგან განსხვავებით, იტალიელებს საოცარი კაცი ჰყავთ სათადარიგოთა სკამზე. ფრანგ დუბლიორთაგან განსხვავებით რობერტო ბაჯოს ნებისმიერი შეხვედრის ჩარხის უკუღმა დატრიალება ძალუძს.

იტალიის ნაკრების თამაში მხოლოდ ეპიზოდურად არის ემოციურად შთამბეჭდავი. თითქოს, ფრანგებს ამ მხრივ უპირატესობა უნდა ჰქონდეთ, მაგრამ იტალიელთა ამჟამინდელ მწვრთნელს ეს სავსებით საკმარისად მიაჩნია. მისი გუნდი კლასს აფრქვევს და ამ ქვეყნის ფეხბურთისთვის ტრადიციულად ქცეულ თვისებებზე დაყრდნობით თამაშობს. მალდინის გუნდს ეს კარგად გამოსდის და ყველამ კარგად იცის, თუ რას ნიშნავს, როცა იტალიელებს კარგად გამოსდით თავიანთი ტრადიციული თამაში.

აქ კი მივადექით იტალიელთა დაცვას, რომელიც ფაქტიურად მხოლოდ მარსელო სალასის წინაშე განიარაღდა. აქ მივადექით მეკარე პალიუკას, რომელსაც ასევე ძალუძს ფრანგთა გამწარება. იტალიელთა ნახევარდაცვა მოძრავი, მუშა და კვალიფიციურია. ფრანგ ნახევარმცველთადენი იტალიური ტიტული იტალიელ ნახევარმცველებს არა აქვთ, მაგრამ მათი ურჯუკი ხასიათი და მოქნილი გონება ძალიან ადგება გუნდს, გამორჩევით კი შეტევის წამოწყებისას.

იტალიელთა სწრაფი კონტრშეტევა — აი, ფრანგთა პრობლემა მეოთხედფინალურ მატჩში.

ასევე, იტალიელები ოსტატები არიან თამაშის ტემპის მათთვის სასურველ სიჩქარეზე გადატანაში, რაც ფრანგებს იშვიათად გამოუყენებიათ თავიანთ წინა შეხვედრებში და პრინციპში, არც არასდროს მიდიოდნენ ამ გზით, რადგან იტალიელთაგან განსხვავებით, ძალზე ემოციურად ატარებენ თამაშის უმეტეს ნაწილს.

აქ უნდა ითქვას ორთაბრძოლებზეც. ფრანგებს ჰყავთ ორთაბრძოლის ნაღდი ოსტატები, მაგრამ ასეთები იტალიელებს მეტი და უკეთესი ჰყავთ. შავი სამუშაო იტალიურ ნახევარდაცვას უკეთ ხელეწიფება, ვიდრე ფრანგულს.

იტალიელებისთვის არასდროს უღალატია მათ ტექნიკას, მაშინ როცა ფრანგებისთვის ხშირად უღალატია მათ თამაშის ორგანიზაციას.

თუკი ფრანგებს „სტად დე ფრანსის“ მითის შექმნა სწადიათ, იტალიელები თავიანთი მითის შექმნაზე ფიქრობენ. ვარშავაში, თბილისსა და რომში ნათამაშევი ფრეების შემდეგ, ჩეზარე მალდინის მოსკოვის ტალახზე გავლით მოუწია მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასვლამ. ეს, რა თქმა უნდა, სიმწარე იყო. მალდინი კი ცდილობს, რომ თავის მითს შეასხას ფრთები. ის ხომ დარწმუნებულია — იტალიელებს ყველაზე კარგად იმ ფეხბურთის თამაში შეუძლიათ, ჩეზარე რომ სთავაზობს.

### ბოლოს

ბოლოს ის იქნება, რომ რომელიმე ამათგანი ნახევარფინალში გავა. ეგებ მოგეჩვენათ, რომ ამ სვეტში იტალიელებს მეტი პლუსები ჰქონდათ. შეიძლება, მართლაც ასე დავინახე, მაგრამ თუ ფრანგების პლუსები ცოტაა, ისინი ძალიან დიდია. ამიტომ, საქმე მაინც თანაბარია. შემხვედრი სიჩქარეების თამაში გველის. ასეთ დროს კი „ფიატიცა“ და „პეჟოც“ მთელი ძალით ასკდებიან ერთმანეთს. ორივე იმტვრევა, მაგრამ ხანდახან ერთ-ერთს ძალუძს, რომ გარაჟამდე როგორღაც მიაღწიოს.



## ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიის** ნაკრების მეკარე კლაუდიო ტაფარელი, რომელიც ამჟამად მშობლიურ „ატლეტიკო მინეიროს“ ღირსებას იცავს, გაისად სავარაუდოდ თურქულ „გალათასარაიში“ იასპარეზებს. ამის თაობაზე თურქეთის ჩემპიონის წარმომადგენელმა თურგაი ვარდარმა განაცხადა: „თუ რაიმე პრობლემა არ შეიქმნა, კერძოდ, ტაფარელის ტრავმამ არ შეუშალა ხელი, იგი აუცილებლად გადმოვა „გალათასარაიში“. ვარდარმა ისიც აღნიშნა, რომ სატრანსფერო თანხა მხოლოდ მას შემდეგ გამოქვეყნდება, რაც 32 წლის ბრაზილიელი საბოლოოდ მოაწერს ხელს კონტრაქტს.

**გერმანელი** ნახევარმცველი მარკო ჰაბერი „შტუტგარტიდან“ ესპანურ „ლას პალმასში“ გადავიდა. იგი თავისუფალ ტრანსფერზე იმყოფებოდა და თავის ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ „ლას პალმასმა“ შარშან ესპანეთის მეორე დივიზიონში მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ შემდეგ „ოვიედოსთან“ პლეი ოფის მატჩები წააგო და პირველ დივიზიონშიც ამ კლუბს დაუთმო ადგილი.

**პორტუგალიის** ნაკრების თავდამსხმელი უგო პორფირიო ესპანური „რასინგიდან“ მშობლიურ „ბენფიკაში“ გადაბარგდა. სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით უცნობია, ხოლო კონტრაქტი ოთხწლიანი გაფორმდა. იქაური პრესის ცნობით, პორფირიო ლისაბონურ კლუბში ნაკრების თავკაცთა ყურადღების მისაქცევად გადავიდა, ვინაიდან მას ქვეყნის პირველ გუნდში გასული წლის აგვისტოდან არ უთამაშია. ესპანეთის ჩემპიონატში ჩატარებულ 20 შეხვედრაში ფორვარდმა მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო.

**შვედეთის** ნაკრების ყოფილი თავკაცის ტომი სვენსონის შოტლანდიურ „სელტიკში“ გადასვლა კვლავ საეჭოვა, განაცხადა შვედურმა გაზეთმა „ექსპრესენ“. „ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიმიღია. ყველაფერი კარგად უნდა გავაანალიზო. ფული არ არის მთავარი, ძირითადად სამუშაო პირობები და კლუბში არსებული ვითარება მაინტერესებს“ — აღნიშნა სვენსონმა, რომლის თავკაცობითაც 1994 წელს აშშ-ში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე შვედეთის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა. „სელტიკის“ ყოფილმა მწვრთნელმა, ჰოლანდიელმა ვიმ იანსენმა თავისი თანამდებობა მაისში დატოვა, შოტლანდიის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ.

**კამერუნელი** ნახევარმცველი სამუელ ეტო, რომელი 17 წლისაა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი იყო, იმ 26 კაცს შორის მოხვდა, რომლებიც გაისად მადრიდის „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად იბრძოლებენ. ეტო უკვე ერთი წელია, „რეალში“ ირიცხება, ოღონდ ამ გუნდის მეორე შემადგენლობაში გამოდიოდა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მან საფრანგეთში იტალიელებთან შეხვედრაში ითამაშა და მეოთხე ფეხბურთელი გახდა, ვისაც 17 წლის ასაკში მსოფლიოს ჩემპიონატზე უასპარეზია. „ეს არის ოცნება, რომელიც დღესდღეობით რეალობად იქცა. ეტყობა, შარშან მადრიდელთა მეორე გუნდში კარგი შთაბეჭდილება დავტოვე და ამიტომაც გამიჩნდა შესაძლებლობა, „რეალის“ პირველ გუნდში ვითამაშო“ — განაცხადა ახალგაზრდა კამერუნელმა.

**შვედეთის** ეროვნული გუნდის ორი მოთამაშე, დანიელ ანდერსონი და იესელ ოსმანოვსკი, რომლებიც ერთად თამაშობდნენ ცნობილ „მალმიოში“, წყვილადვე გადავიდნენ იტალიური სერია A-ს გუნდ „ბარიში“ — განაცხადა შვედურმა მედიამ. სატრანსფერო თანხა გახლავთ 30 მილიონი შვედური კრონი, რაც დოლარებში გადაყვანის შემდეგ 3 მილიონ 800 ათასს უდრის. აღსანიშნავია, რომ ეს თანხა გადახდილია ორივე ფეხბურთელში ერთად. ანდერსონი 19 წლისაა, მას ნაკრებში ექსჯერ უთამაშია, 20 წლის ოსმანოვსკი კი სამჯერ გამოსულა ეროვნული გუნდის შემადგენლობაში. როგორც შვედური გაზეთები წერენ, „მალმიოს“ გადაწყვეტილი აქვს ხელი არ შეუშალოს თავის მოთამაშეებს დიდი კარიერის მოწყობაში და თუ მათ რომელიმე უცხოური კლუბი მიიწვევს, გადასვლის ნება დართონ.

## მილანს უარი სთქიცეს

ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა მძიმე დღეშია ამ ბოლო ხანებში ერთ დროს უძლეველი იტალიური „მილანი“. უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაში გუნდს მართლაც უპრეცედენტო რამ შეემთხვა — იგი ევროპული სარბიელის გარეშე დარჩა. მილანელები შარშანწინდელი წარუმატებლობის შემდეგ გასულ სეზონს დიდი იმედებით შეჰყურებდნენ, მაგრამ სერია A-ს ჩემპიონატში მე-10 ადგილი დაიკავეს და, რა თქმა უნდა, ვერც ერთ ევროსაგზურს ვერ გამოჰკრეს ხელი. ამ რამდენიმე დღის წინ „მილანის“ ხელმძღვანელებმა კიდევ ერთხელ სცადეს, უეფასთვის ერთ-ერთ ევროთასზე მონაწილეობის უფლება გამოეთხოვათ, მაგრამ მათი ბოლო ცდა უშედეგოდ დასრულდა. საქმე კი ისაა, რომ პარიზში ივნისის დასაწყისში გამართულ უეფას სხდომაზე ამ საფეხბურთო ორგანიზაციის თავკაცებმა მეტად დიდსულოვანი გადაწყვეტილება მიიღეს, რომლის თანახმადაც ჩემპიონთა ლიგის ბოლო ხუთი გათამაშების გამარჯვებულ გუნდებს, რომლებმაც შარშან ეროვნულ პირველობებზე სუსტი თამაშით ვერც ერთი ევროთასის საგზური ვერ მოიპოვეს, ეგრეთ წოდებული „უაილდ კარდი“ მიეცემათ. თავად „უაილდ კარდი“ ინგლისური სიტყვაა და ქართულად „ველურ ბარათს“ ნიშნავს, ზოგადად კი ის დანიშნულება აქვს, რომ მისი მფლობელი გუნდი ყოველგვარი შესარჩევი ტურნირის გავლის გარეშე, პირდაპირ ჩაებმება უეფას თასისათვის ბრძოლაში. „მილანს“ სწორედ ამ პრივილეგიით სარგებლობა სურდა. ეს გუნდი ხომ 1994 წელს ჩემპიონთა ლიგის გათამაშების გამარჯვებული გახდა. თუმცა, უეფას გადაწყვეტილების მიუხედავად, გაურკვეველი მიზეზების გამო იტალიელებს ამ სეზონში „უაილდ კარდის“ მიცემაზე უარი ეთქვათ.



**ლომელი**

საბოლოო ადგილი მეათე

დაარსდა 1932 წელს
ჩემპიონი ან თასის მფლობელი არ ყოფილა
ფერები: თეთრ-მწვანე
სტადიონი: სტედელიკ შპორტ-შტადიონი — 12 500 (2 400 დასაჯდომი) ადგილი
პრეზიდენტი: დირკ ვანდერ ბოერი
მწვრთნელი: ვალტერ მეუვსი

# შებედავს ტორპედო ლომელს, თუნდ ცალთვალას, ელამი ხარო?

ქართული კლუბი რომ რომელიმე ევროთასზე სათამაშოდ ემზადება, ძნელად თუ ვინმე დარწმუნებით იტყვის, წარმატებული დებიუტი ექნებაო. აგერ, ბატონო, ელირსა ქუთაისის „ტორპედოსაც" ევროპაში გასვლა და ჩიტი ბდღვნადაც არ ეყო — სომხურ „ერებუნს" ორი მატჩის ჯამში 7:1 მოუგო. მაგრამ ახლა ბელგიური „ლომელია", გუნდი, რომელსაც ბოლო სეზონი აშკარად ჩაუვარდა. და მაინც, ახლა, ალბათ ბევრი შიშობს, ვაითუ „ტორპედომ" ეს ბარიერი ველარ დაძლიოსო.

## ლაშა ჯაკობია კი, ჩვენი კაცი ბელგიურ ფეხბურთში, ქუთაისელებს წარმატებას უწინასწარმეტყველებს



**34 ტური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 34 | 26 | 6 | 2 | 78:29 | 84 |
| გენკი | 34 | 20 | 6 | 8 | 65:40 | 66 |
| ეკერენი | 34 | 17 | 7 | 10 | 60:48 | 58 |
| ანდერლეხტი | 34 | 16 | 9 | 9 | 53:37 | 57 |
| ჰარელბეკი | 34 | 15 | 10 | 9 | 50:32 | 55 |
| ლოკერენი | 34 | 16 | 4 | 14 | 65:69 | 52 |
| ლიერსი | 34 | 14 | 8 | 12 | 54:45 | 50 |
| გენტი | 34 | 11 | 14 | 9 | 51:44 | 47 |
| სტანდარდი | 34 | 11 | 10 | 13 | 53:50 | 43 |
| ლომელი | 34 | 10 | 11 | 13 | 46:50 | 41 |
| ვესტერლო | 34 | 9 | 14 | 11 | 51:56 | 41 |
| მუსკრონი | 34 | 11 | 8 | 15 | 39:44 | 41 |
| შარლერუა | 34 | 9 | 12 | 13 | 46:57 | 39 |
| სტ. ტრუიდენი | 34 | 8 | 13 | 13 | 32:45 | 37 |
| აალსტი | 34 | 9 | 9 | 16 | 51:66 | 36 |
| ბევერენი | 34 | 7 | 11 | 16 | 30:48 | 32 |
| მოლენბეკი | 34 | 8 | 7 | 19 | 39:74 | 31 |
| ანტვერპენი | 34 | 6 | 7 | 21 | 39:68 | 25 |

**«ლომელის» შედეგები ბელგიის ჩემპიონატში**

| | შ | ს |
|---|---|---|
| ბრიუგე | 1:1 | 0:2 |
| გენკი | 3:1 | 0:3 |
| ეკერენი | 1:1 | 0:1 |
| ანდერლეხტი | 2:2 | 0:2 |
| ჰარელბეკი | 0:0 | 1:1 |
| ლოკერენი | 1:5 | 1:2 |
| ლიერსი | 1:2 | 4:1 |
| გენტი | 0:1 | 0:2 |
| სტანდარდი | 2:2 | 0:1 |
| ვესტერლო | 2:1 | 1:1 |
| მუსკრონი | 1:0 | 1:2 |
| შარლერუა | 2:1 | 2:1 |
| სტ. ტრუიდენი | 1:1 | 0:0 |
| აალსტი | 2:2 | 1:2 |
| ბევერენი | 3:1 | 2:2 |
| მოლენბეკი | 3:1 | 2:1 |
| ანტვერპენი | 5:2 | 1:2 |

### წითელი ეშმაკუნები

ინტერტოტოს გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი ქუთაისის „ტორპედომ" იოლად გაიარა. შინ გამანადგურებელი ანგარიშით მოგების შემდეგ ქუთათურებმა ერევანში გაისეირნეს და მოძმე სომხები მეორედ აღარ გაწირეს. თუმცა, ეს მატჩი ბელგიაში სტუმრობის წინ ერთგვარი რეპეტიცია იყო. 5 ივლისს „ტორპედოს" მეტად რთული მატჩი ელის ბელგიურ „ლომელთან".

ვიდრე „ლომელზე" ვისაუბრებდეთ, მცირე ყურადღება დავუთმოთ საერთოდ ბელგიურ ფეხბურთს. „წითელი ეშმაკუნები", როგორც იქაურ ნაკრებს უწოდებენ, მსოფლიოს საფეხბურთო არენაზე ვერც დიდი წარმატებებით დაიკვეხნის და ვერც ვარსკვლავთა რაოდენობით. მართალია, ბელგიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატების ხშირი სტუმარია, მაგრამ პრიზიორის ამბიციები არასდროს გასჩენია. იგი ყოველთვის საშუალო სიძლიერის გუნდად გვევლინებოდა და ერთი-ორი ძლიერი მეტოქის გამწარებით თუ დაგვამახსოვრებდა ხოლმე თავს. მათი სტილი ათლეტური და მეტად ხისტი თამაშია. ისინი მნგრეველები უფრო არიან, ვიდრე შემქმნელები.

ტექნიკასთან შედარებით მწყრალად მყოფი „წითელი ეშმაკუნები" მოწინააღმდეგეთა შეტევების ჩაშლის დიდოსტატები არიან. სწორედ ნგრევის დიდოსტატობა იყო მათ მიერ ფეხბურთში დანერგილი ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის პრეცედენტი. მეტად უხეშად მოთამაშე ბელგიელმა მცველებმა ერთობ მოწესრიგებული და მართლაც უცნაური თავდაცვის მექანიზმი შეიმუშავეს. „წითელმა ეშმაკუნებმა" სტანდარტული მდგომარეობიდან ბურთის თამაშში შეყვანის განსხვავებული სტილიც მოძებნეს. მექსიკის ჩემპიონატზე სპეციალისტების ყურადღება მიიქცია იმდროინდელი ბელგიის ნაკრების მეორე ნომრის, ერიკ გერეტსის მიერ ჰაუტიდან პირდაპირ მეკარის საჯარიმოში სახიფათოდ ნასროლმა ბურთებმა. იმჟამინდელი ბელგიური სიახლეები დღევანდელ თანამედროვე ფეხბურთში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება.

რაც შეეხება „წითელი ეშმაკუნების" მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლას, იგი კრიტიკას ვერ უძლებს. ამჯერად ბელგიელებმა თავი ვერაფრით დაგვამახსოვრეს, გარდა ჩვეული უხეშობისა. მეზობელ ჰოლანდიელებთან მიღწეული ფრე უფრო ნარინჯისფერთა სუსტმა თამაშმა განაპირობა. ტექნიკურ მექსიკელებთან და კორეელებთან შეხვედრებში კი ბელგიელებმა მათთვის ჩვეული სიმტკიცე ვერ გამოავლინეს — ორივე მატჩში დაწინაურებულები საბოლოოდ ფრეს დასჯერდნენ. არანაირი კომბინაციური და მიზანმიმართული შეტევითი სტილი, ყოვლად უსახური თამაში და ზღვარს გადასული უხეშობა, აი, ყოველივე ის, რითაც ბელგიელები წარმოჩნდნენ საფრანგეთში.

ამ საკმაოდ ასაკოვან ნაკრებში მოთამაშე ფეხბურთელების დიდი წილი, ოთხმოცდაათი პროცენტი ადგილობრივ ჩემპიონატში ასპარეზობს. ძნელია, ნაკრების დონიდან ჩემპიონატის დონეზე ისაუბრო. ბელგიური ფეხბურთი ხომ ძირითადად ძლიერი საკლუბო მოღვაწეობით გამოირჩეოდა. „მეხელენი", „ანდერლეხტი", „ბრიუგე", „სტანდარდი" - ამ გუნდებს არაერთხელ გამოუჩენიათ თავი ევროთასების გათამაშებაში.

რაც შეეხება „ლომელს", ყოველთვის საშუალო სიძლიერის გუნდად გვევლინებოდა. თუმცა დღეისთვის, გასაგებ მიზეზთა გამო, ყურადღებას მხოლოდ ამ კლუბზე შევაჩერებთ.

### არსენა ბელგიელი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების იტალიური ტურნეს წინ ლიეჟის „სტანდარდში" მოთამაშე ჩვენებურ ლაშა ჯაკობიას რომ შევხვდით იმ დროისთვის „ტორპედოს" პოტენციურ მეტოქე „ლომელზე" ვთხოვეთ აზრის გამოთქმა.

— „ლომელი" არ არის ბელგიური გრანდი, საშუალო გუნდია. მან წელს მეათე ადგილი დაიკავა. სეზონის ბოლოს კლუბი ძირითადის ოთხმა ფეხბურთელმა დატოვა და ამჟამად სუსტად გამოიყურება. ქუთაისელები თუ მონდომებენ, შეძლებენ ამ ბარიერის გადალახვას; რაც შეეხება ბელგიური ფეხბურთის დონეს, პირობებიდან გამომდინარე, ქართული ფეხბურთი ჯერაც ჩამორჩება იქაურს, უფრო სწრაფსა და ათლეტურს", — გვითხრა მაშინ ლაშამ.

ჩვენს ხელთაა ბელგიის წლევანდელი ჩემპიონატის თითქმის ყველა (ორის გარდა) ტურის სტატისტიკური მონაცემები. აქაც ცხადია, „ლომელის" შედეგები გვაინტერესებს.

თეთრ-მწვანეებმა შარშანდელ სეზონთან შედარებით, მკვეთრი რეგრესი განიცადეს. შარშან მეხუთე ადგილზე გასული გუნდი წლეულს მხოლოდ მეათეს დასჯერდა.

ერთხანს გერმანულ რეგიონალლიგაში ახლა კი „კოლხეთში" მოთამაშე გიორგი სუხიაშვილმა „ლომელი" მოკლედ ასე დაგვიხასიათა:

„ლომელი" ის გუნდია, რომელიც სუსტ მეტოქეებთან ვერ ხეირობს, მაგრამ ლიდერებს ყოველთვის ამწარებსო.

ასეცაა, წლევანდელი ჩავარდნის მიუხედავად, „ლომელი" საკუთარ მოედანზე კვლავ რჩება ბელგიური გრანდებისთვის მეტად უხერხულ მეტოქედ. ლიდერთა ხუთეულის ვერცერთმა წევრმა ვერ შეძლო ამ გუნდის სტუმრად დამარცხება, ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა „გენკმა" კი ქულაც ვერ წაიღო ლომელიდან. ასე რომ, „ლომელს" შინ ჩატარებულ პრინციპულ თამაშებში სრული მობილიზების უნარი გააჩნია.

„ლომელმა" დიდი ანგარიშით მხოლოდ ერთხელ წააგო მეათე ტურში და ისიც საკუთარ მოედანზე „ლოკერენთან" — 1:5. მასთან ასევე სტუმრად იხეირეს „გენტმა" და „ლიერსმა". ყოველივე ეს თეთრ-მწვანეთა სტაბილურობაზე ნამდვილად არ მეტყველებს.

მოწინააღმდეგის მინდორზე „ლომელი" სუსტად თამაშობს. ჩვიდმეტი გასვლითი მატჩიდან მხოლოდ სამი მოიგო და ოთხი ფრედ დაამთავრა. ასეთი შედეგი საშუალოზე დაბალ მიღწევად ითვლება. ამ მკრთალ მაჩვენებელს მრისხანე „ლიერსის" სტუმრად 4:1 განადგურება თუ შეავერადებს, თორემ პირველი ოთხეულის ვერც ერთი გუნდის მოედანზე ვერ შეძლო „ლომელმა" გოლის გატანა და თუნდაც ერთი ქულის მოპოვება.

„ლომელი" მთელი თამაშის განმავლობაში არ კარგავს ბრძოლის ჟინს. ამიტომ იყო, რომ სეზონის ექვს შეხვედრაში მდევრის როლში მყოფმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება და ქულის გადარჩენა. ერთი ასეთი მატჩი კი სულაც მოიგეს — შინ „ბევერენს" 0:1-ზე სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს.

კიდევ ერთი შესამჩნევი დეტალი: „ლომელის" სეზონის დასაწყისი და დასასრული მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. პირველ რვა ტურში გუნდმა ექვსი მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და მხოლოდ ლიეჟში დამარცხდა ადგილობრივ „სტანდარდთან" — 0:1 „ლომელი" ლიდერთა შორის მყარად იდგა. ჩემპიონატის ბოლო რვა შეხვედრაში კი ქუთაისელთა მეტოქემ მოგება ვერ შეძლო.

რაც შეეხება ბელგიის თასის გათამაშებას, გუნდი მეთექვსმეტედფინალში შარშან პირველი დივიზიონიდან გავარდნილ რეზო არველაძის ყოფილ (ოფიციალურად კი ახლანდელსაც) გუნდს შეხვდა. შეხვდა და რანგით დაბალს ემსხვერპლა.

თუ ასეა, თასზეც და ჩემპიონატშიც უხეიროდ ითამაშა, ინტერტოტოზე როგორღა მოხვდაო, იკითხავთ. „ლომელს" „ლიერსის", „გენტის" და „სტანდარდის" უარმა უშველა და „ლოკერენთან" ერთად ინტერტოტოს გათამაშებაში ბელგიის წარდგენა დაეკისრა.

ასე მოაღწია „ლომელმა" „ტორპედოსთან" საპაექროდ და, ქუთაისელთაგან განსხვავებით, პირველ მატჩს მასპინძლობს ინტერტოტოს წლევანდელ გათამაშებაში.

### მეკარე №3 და სხვები

ბელგიური ფეხბურთის სპეციალისტების და ჟურნალისტების გამოკითხვამ „ლომელის" კარის დარაჯი, ოცდაცხრა წლის პატრიკ ნისი ამ ქვეყნის №3 გოლკიპერად დაასახელა. მან სეზონის ყველა მატჩი ჩაატარა (მხოლოდ ერთხელ ითამაშა შეცვლაზე) და თანაგუნდელებთან შედარებით ყველაზე მაღალი საშუალო შეფასების კოეფიციენტი დაიმსახურა. თუმცა, „ლომელის" კარში გასული 50-ივე ბურთიც პატრიკ ნისმა გამოიტანა ბადიდან.

„ტორპედოს" მეტოქეთა რიგებში ვერც გამოკვეთილ ფორვარდს შენიშნავთ. წლევანდელ ჩემპიონატში ოცდათხუთმეტი წლის მარჯვენა ნახევარმცველი გერტ კენერტსი საკმაოდ მოკრძალებული, ათგოლიანი შედეგით გახდა გუნდის ბომბარდირი. ბელგიური ფეხბურთის სენი, გოლეადორთა ნაკლებობა, „ლომელშიც" შეიმჩნევა. 1997-98 წლების სეზონის განაცხადში სამი ფორვარდია შეყვანილი და სამივე არაბელგიური წარმოშობისაა. პოლონელმა მირეკ ვალიგორამ, განელმა რობერტ ეშუნმა და კონგოელმა ბემბუანა-კევემ შესაბამისად რვა, შვიდი და ოთხი გოლის გატანა მოახერხეს.

„ლომელში" გამთამაშებლის პრობლემაცაა. ამ პოზიციას ფრანგი ლეგიონერი, ვინმე კარიმ ზოუა ამაგრებდა. მას კლუბის უხუცესი ფეხბურთელი, საყრდენად მოთამაშე ოცდათექვსმეტი წლის ჰოლანდიელი ჰარმი ვან ველდჰოვენი უმაგრებდა ზურგს. ეს ფეხბურთელი 1992 წლიდანაა გუნდში და მისი ერთ-ერთი ლიდერიცაა.

„ლომელის" ყველაზე სტაჟიან წევრებად გერტ კენერტსი, ჰაკან ბაირაქტარი და ჰოლანდიელი ლეგიონერი რენე კლომპი ითვლებიან. ისინი ათი წელია, გუნდის ღირსებას იცავენ.

ქუთაისელთა მეტოქეს სულ რვა არაბელგიელი ჰყავდა წლევანდელ სეზონში. მათ შორისაა მაროკოელი აბდერაზაკ სალმი, რომელმაც სულ ხუთი თამაში ჩაატარა, ტიტების ქვეყნის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ოცდათორმეტი წლის ერიკ ვან კესელი და ვალიგორას თანამემამულე პოლონელი ნახევარმცველი დარიუს შუბერტი. ლეგიონერების უმრავლესობა, ცხადია, ძირითად შემადგენლობაში გამოდიოდა და „ლომელის" წამყვან ძალასაც წარმოადგენდა.

### თეთრ-მწვანეებს წითელ-ყვითლები უყვართ

ბელგიური ფეხბურთის სიხისტესა და უხეშობის ზღვარს გადასულ თამაშზე უკვე ვთქვით. განა ეს ყოველივე „წითელი ეშმაკუნების" მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლამაც არ დაგვიდასტურა? მართალია, ქვეყნის ნაკრებში „ლომელის" არც ერთი ფეხბურთელია, მაგრამ... ისინიც წითელ-ყვითელი ბარათების გამოტყუების დიდოსტატები არიან. ამ ფერებზე შეყვარებულებს სეზონის ბოლოს ექვსი წითელი და ორმოცდაოთხი ყვითელი ბარათი დაუგროვდათ. გატანილ გოლებზე მეტი ბარათი სარეკორდო მაჩვენებელია, თუმცა, როგორც ჩანს, არა — ბელგიაში.

ყველაზე უწესონი მცველი მიხელსი (შვიდი გაფრთხილება), ნახევარმცველი შუბერტი (ექვსი გაფრთხილება), მცველები ბაირაქტარი და სეგერსი (ორ-ორი გაძევება) არიან. დანარჩენების მონაგარს ცხრილშიც იხილავთ.

„ლომელში" საკმაოდ ხანშიშესული ფეხბურთელები თამაშობენ (გუნდის საშუალო ასაკი ოცდაშვიდი წელია). ისინი, ეტყობა, თაკილობენ მათზე ახალგაზრდა, მარჯვე მეტოქეებისგან გაცურებას და ყველანაირ ხერხს იყენებენ მათ გასაჩერებლად.

ბელგიურ ფეხბურთში მიზნის მიღწევის საშუალებათა ზღვარი ხომ კარგა ხანია, არ არსებობს. ისინი საფეხბურთო მაკიაველიზმის ერთგული მიმდევრები არიან.

### 25 000 ≥ 12 500 ?

„ლომელი" საკუთარ მოედანზე პრინციპულ თამაშებს დიდი მონდომებით რომ ატარებს, ვთქვით. თუ რატომ ხდება ასე, ამას ბევრი ფიქრი და ანალიზი არ სჭირდება. ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე მთავარი — გულშემატკივრის ფაქტორი, აი, მიზეზი გამარჯვებისა და ფეხბურთელთა აღმაფრენისა. სწორედ „ლომელის" ფანთა მხარდაჭერამ გაამარჯვებინა ამ გუნდს ბელგიის ვერცხლის პრიზიორთან შეხვედრაში.

ლომელში პატარა „სტედელიკ შპორტ-შტადიონია", რომელიც სულ თორმეტი ათას ხუთას კაცს იტევს. აქედან მხოლოდ ორი ათას ოთხასი დასაჯდომი ადგილია, იმაზე ორასით მეტი, ვიდრე ინდივიდუალური სკამი ქუთაისურ „გივი კილაძეზე". დანარჩენი ათი ათას ასი გულშემატკივარი კი საკუთარ გუნდს ფეხზე მდგომი ქომაგობს.

თუ გადავხედავთ წლევანდელ სეზონში გუნდის მხარდასაჭერად თავშეყრილთა რაოდენობას, საშუალოდ ყოველ მატჩს ხუთი-ექვსი ათასი კაცი ესწრებოდა. თუმცა, ერთი გამონაკლისიც მოხდა. „ლომელ" — „გენკის" პაექრობისას სტადიონზე სრული ანშლაგი იყო. ქომაგთაგან გამხნევებულმა მასპინძლებმა შავი დღე აყარეს მრისხანე მეტოქეს. მატჩის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე ისინი 3:0-ს იგებდნენ — სტუმრებმა პრესტიჟის გოლის გატანაღა მოახერხეს.

„ტორპედოს" ფანების მხარდაჭერით რომ ველარ გააკვირვებ, ეს უდავო ჭეშმარიტებაა და არც იმგვარი ქომაგობა შეეძლებათ ბელგიელებს, ქუთათურებს რომ ჩვევიათ.

„ლომელ" — „ტორპედოს" მატჩზე ალბათ, ამჯერადაც ანშლაგი იქნება, მაგრამ მინდორზე გასულ ჩვენს ბიჭებს ერთი რამ უნდა ახსოვდეთ. ერთ კვირაში ქუთაისში საპასუხო შეხვედრაზე ორჯერ მეტი, თანაც ქუთათური გულშემატკივარი დასჭექავს ქართულად და ომახიანად.

ხუთ ივლისს ყველა ქართველ ფეხბურთის მოყვარულთა გულისყური ბელგიისკენ იქნება და მოუთმენლად დაელოდება მატჩის ანგარიშს. „ტორპედომ" ხომ თავისი საევროთასო ისტორია ბრწყინვალედ დაიწყო.

თორმეტ ივლისს კი ოცდახუთი ათასი ქუთათური უქომაგებს თავის საყვარელ გუნდს.

თორმეტი ათას ხუთასი ბელგიელი...

ოცდახუთი ათასი ქართველი...

ამდენი ქართველი ქომაგი ერთად ხუმრობა როდია.

ვნახოთ, ვისი აჯობებს?!

**ხვიჩა სანიკიძე**

| ლომელი 97-98 | დთ | ამპლუა | თ | შ | გ | ყ | წ | სშ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პატრიკ ნისი | 1969 | მეკარე | 33 | 1 | -50 | 0 | 0 | 6,0 |
| გერტ კენერტსი | 1963 | მარჯვენა ნახევარმცველი | 33 | 0 | 10 | 4 | 1 | 5,7 |
| ჰარმი ვან ველდჰოვენი | 1962 | საყრდენი ნახევარმცველი | 31 | 0 | 4 | 4 | 0 | 5,5 |
| მირეკ ვალიგორა | 1970 | თავდამსხმელი | 31 | 5 | 8 | 1 | 0 | 5,5 |
| რენე კლომპი | 1974 | ნახევარმცველი | 30 | 2 | 5 | 2 | 0 | 5,5 |
| ფრანკ მიხელსი | 1970 | მარჯვენა მცველი | 29 | 8 | 0 | 7 | 0 | 5,2 |
| რობერტ ეშუნი | 1974 | თავდამსხმელი | 29 | 0 | 7 | 2 | 0 | 5,7 |
| ერიკ ვან კესელი | 1966 | მცველი | 27 | 0 | 1 | 2 | 0 | 5,5 |
| დანიელ ნესენი | 1966 | მარჯვენა ნახევარმცველი | 24 | 0 | 0 | 3 | 1 | 5,2 |
| კარიმ ზოუა | 1971 | გამთამაშებელი | 24 | 7 | 1 | 0 | 0 | 5,2 |
| დარიუშ შუბერტი | 19?? | ნახევარმცველი | 24 | 2 | 1 | 6 | 0 | 5,0 |
| დიდიე სეგერსი | 1965 | მარცხენა მცველი | 22 | 1 | 0 | 1 | 2 | 5,2 |
| ვინკენი | 19?? | მცველი | 20 | 5 | 1 | 3 | 0 | 6,0 |
| ედი ბემბუანა-კევე | 1972 | თავდასმხმელი | 20 | 15 | 4 | 0 | 0 | 5,5 |
| მიხელ ნობენი | 1970 | ცენტრალური მცველი | 18 | 0 | 0 | 3 | 0 | 5,3 |
| ჰაკან ბაირაქტარი | 1976 | მცველი | 14 | 4 | 0 | 2 | 2 | 5,2 |
| ბენი ლუნენბურგი | 1975 | მცველი | 14 | 12 | 0 | 2 | 0 | 5,0 |
| რობერტ ნაიტსი | 1977 | მარცხენა ნახევარმცველი | 8 | 4 | 1 | 1 | 0 | 5,0 |
| როლი ელსენი | 1979 | მცველი | 7 | 5 | 0 | 0 | 0 | 5,0 |
| გარსია | 19?? | ნახევარმცველი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | — |
| აბდერაზაკ სალმი | 1972 | მარჯვენა ნახევარმცველი | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | — |
| ვიმი მენესი | 1977 | ნახევარმცველი | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | — |
| კრისტოფ კუმანსი | 1979 | მცველი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | — |
| დეკელვენი | 19?? | მცველი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | — |
| ჯეკ მათიასენი | 1963 | მეკარე | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | — |

დთ — დაბადების თარიღი; თ — თამაში; შ — შეცვლაზე; გ — გოლი; ყ — ყვითელი, წ — წითელი ბარათი; სშ — საშუალო შეფასება

ყრილობა ფედერაციის პრეზიდენტობის მეოთხე მაძიებელიც გამოჩნდა. ვინ იქნება მეხუთე, ან იქნება საერთოდ?

# ჟორდანიამ კარტი გახსნა

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში „დინამოს“ თავკაცმა კანდიდატურა წამოაყენა

ვინ გახდება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ვინ უთავკაცებს ქართულ ფეხბურთს? ეს კითხვა მეტად აქტუალურია ჩვენს საფეხბურთო სამყაროში. ზოგს ფედერაციის ახლანდელი ხელისუფლება აძლევს ხელს და გაცხარებით ამბობს, ჩივაძის გარდა არავის გააჩნია მორალური უფლება, ფედერაციის პრეზიდენტი გახდესო.

ბევრს ახლანდელი მესაჭენი ვერ მოსდის თვალში, ეყოფათ, რვა წელია, ყველას თავზე ასხედან, ფეხბურთი დაღუპვის გზას შეუყენეს, ახლა სხვამ იუფროსოს, იქნებ ახალმა ხალხმა ჩამკვდარ ფეხბურთს მაცოცხლებელი სითხე აპკუროსო.

ყველა თავის რჩეულს იცავს, მაგრამ საქმით ჯერ არავის არაფერი უკეთებია. დასახელებულ კანდიდატებს თავიანთი პროგრამები არ გამოუქვეყნებიათ. პროგრამებისთვის ვის ცხელა, კანდიდატები წინასაარჩევნო კომპანიით არიან გართულნი. კი მაგრამ, ამომრჩევლებმა ხომ უნდა იცოდნენ, მხარი ვის და რატომ დაუჭირონ.

აქამდე პრეზიდენტობის სამი კანდიდატი გვყავდა. ალექსანდრე ჩივაძე, ილია დათუნაშვილი და რამაზ გოგლიძე. საფეხბურთო წრეებში ჩივაძეს კონკურენტებთან შედარებით მეტი მხარდაჭერა ჰქონდა. ეს არც არავის გაჰკვირვებია, რადგანაც დათუნაშვილმა და გოგლიძემ საგანგებოდ მათი ზეობისთვის გამართულ პრესკონფერენციებზე ჯერაც ართქმული და არგაგონილი ვერაფერი შემოგვთავაზეს, ხოლო ხალხს მუდამ შეჩვეული ჭირი ურჩევნია შეუჩვეველს.

ბევრსაც აქამდე ვერ გაეგო, თუ რატომ აჭიანურებდა თავისი კანდიდატურის წამოყენებას ქართულ ფეხბურთში ყველასთვის ნაცნობი, ჯერჯერობით ისევ „დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია. მას უცხოური კონტაქტებიც საკმაოდ აქვს და კანდიდატურა უნდა წამოაყენოსო, არაერთხელ გაგვიგონია.

ფეხბურთის ფედერაციას ჟორდანიას კანდიდატობა ძლიერ გაუხარდებოდაო, ვერ ვიტყვით, ყველაზე სერიოზულ მოწინააღმდეგეს ხომ მასში ხედავს.

იყო ასეთი მოსაზრებაც, თითქოს ჟორდანია იმიტომ იკავებდა თავს, რომ ფედერაციას „მრეტებ“ — „დინამოს“ კონფლიქტი დაუხვევია ხელზე და „დინამოს“ თავკაცს იმით აჩერებსო. აკი დაახლოებით



უეჭველია, ჟორდანიას საკუთარი პროგრამა შედგენილი ექნება

ასეთი აზრი გამოთქვა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემაც — თუკი მერაბ ჟორდანია „მრეტებთან კონფლიქტს მოაგვარებს, მაშინ მას მორალური უფლებაც ექნება, თავისი კანდიდატურა წამოაყენოსო. ცოტა უცნაურიც კია გენსეკის ნათქვამი, რადგან „დინამოს“ წარმომადგენლებს არასდროს დასცდენიათ, ფულს არ გადავიხდითო. ისინი სიმართლის დადგენას ელოდნენ, რადგან თავი ახლაც მართლებად მიაჩნიათ და საქმე ჯერაც სასამართლოშია გასარჩევად. უცნაურია ისიც, რომ საფეხბურთო საქმე სამოქალაქო სასამართლოში ირჩევა და ფედერაციას ამაზე დავიდარაბა არ აუტეხია, უბრალოდ, საქმის განხილვაზე არ მიდის.

რას აკეთებდა ამ ხნის განმავლობაში ჟორდანია? „დინამოს“ თავკაცს ჟურნალისტებმა არაერთხელ ვკითხეთ, აპირებდა თუ არა 24 ივლისის არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენებას, მაგრამ ჟორდანია პირდაპირ პასუხს თავს არიდებდა.

— ჯერ ვფიქრობ, ყველაფერი კარგად უნდა გათვითცნობიერდეს. ჩვენს ფეხბურთს ჩიხიდან გამოსასვლელად სოლიდური სახსრები სჭირდება. უცხოური ინვესტიციები მოსაზიდი, რომელსაც აქაური და სახელმწიფოს დახმარება მიემატება. გარკვეული კონსულტაციების შემდეგ, რომელსაც უცხოელ კოლეგებთან გავმართავ, ჩემს საბოლოო გადაწყვეტილებასაც გაცნობებთო. დაახლოებით ასეთი პასუხი გაგვცა ერთი თვის წინ მერაბ ჟორდანიამ.

და გუშინ, ყველასთვის მოულოდნელად, „დინამოს“ თავკაცმა კარტი საბოლოოდ გახსნა. გუშინ მერაბ ჟორდანიამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაზე თავისი კანდიდატურა ოფიციალურად წამოაყენა.

2 ივლისს, 14 საათზე, ფედერაციის პრეზიდენტობის ახალი კანდიდატი ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენციას გამართავს.

თავის მოსაზრებებს ქართული ფეხბურთის ირგვლივ და ბევრ სხვასაც ჟორდანია იქ იტყვის.

პრეზიდენტობის სკამისთვის ბრძოლა კულმინაციას უახლოვდება. თითქმის ახდა „სარბიელის“ ვარაუდიც, ხუთი კანდიდატი გვეყოლებაო. ოთხი არის, ვინ იქნება მეხუთე?!

**მამუკა კვანტალიანი**

# ჯანმრთელები ესტონეთში

2 ივლისს „დინამო“ ტალინში რომ მიემგზავრება ორკვირიან შეკრებაზე, ამაში ახალი და ჯერაც უთქმელი არაფერია. საკითხავი მხოლოდ ის იყო, გაჰყვებოდნენ თუ არა გუნდს ხომერიკი, აშვეთია და მუჯირი.

ხომერიკს წელის ტკივილები აწუხებდა. ექიმები რაღაც ქრონიკულს ეჭვობდნენ და თავდაპირველი ვარაუდებით ლევანს ლამის საფეხბურთო კარიერა დაასრულებინეს, მაგრამ გუშინ „დინამოს“ დასტაქარმა ზაქრო თელიამ დაგვამშვიდა. სერიოზული არაფერია, ჩვენი ეჭვები არ გამართლდა და ხომერიკი უკვე ვარჯიშს შეუდგაო.

აშვეთიას კოჭი აწუხებდა, წყლულიც გაუმიზეზდა და თითქოს დარჩენაც განაღდებული ჰქონდა, მაგრამ მიხო წვრთნის ინდივიდუალურ რეჟიმზე გადაუყვანიათ. ტრავმაც თითქმის მოშუშებია და ტალინშიც თურმე გუნდთან ერთად გაემგზავრება.

ყველაზე რთულად მუჯირის საქმე იყო. მუმუს მარჯვენა ფეხის ცერა თითი ჯერ დაეჟეჟა, მერე კი დაუჩირქდა. კი ვარჯიშობდა, მაგრამ ცალ ფეხზე ბუცი ეცვა, მეორეზე კეტი. სახვევ-სალბუნდადებული წვალობდა. თელიას თქმით, ესეც ჯანზე მოუყვანიათ.

„დინამოში“ ჯანმრთელობას არავინ უჩივის და ყველა შეკრებაზე წავაო — გვითხრეს.

ბალტიისპირეთში კი ჩვენი ჩემპიონი 5 ივლისს მოლდოვური კიშინიოვის „აგროს“, 9 ივლისს ესტონურ ვილიანდის „ტულევიკს“ და 12-შიც ტალინის „ფლორას“ ეთამაშება.

**მამუკა კვანტალიანი**

# ლობჟანიძე: დინამოდან ქსანტში

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი ნუგზარ ლობჟანიძე ამ კვირის ბოლოს საბერძნეთში გაემგზავრება და იქაურ „ქსანტში“ გააგრძელებს კარიერას.

„საქმე ბერძენმა მენეჯერმაც გაჩარხა — „ქსანტის“ ხელმძღვანელებს ჩემს შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. ისინიც დაინტერესდნენ, ეტყობა, საქართველოს ნაკრებში ჩემს მიერ ჩატარებული მატჩებიც ჰქონდათ ნანახი და შემომითვალეს, ჩამოდი, ჩვენთან ითამაშეო. ამას წინათ ჩავაკითხე კიდეც და ერთს პლუს ერთწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი. საკმაოდ კარგი გუნდია, შარშან თასის მფლობელი იყო, გასულ ჩემპიონატში კი მერვე გახლდათ. საბერძნეთს შაბათს მივემგზავრები და გუნდთან ერთად მოახლოებული ჩემპიონატისთვის მოვემზადები“ — გვითხრა ნუგზარ ლობჟანიძემ, რომელიც საბერძნეთის პირველ დივიზიონში მოთამაშე ერთადერთი ქართველი ლეგიონერი იქნება. აეკიდან თემურ ქეცბაიას წასვლის შემდეგ საბერძნეთის უძლიერეს ლიგაში ქართველს აღარ უთამაშია, თუ ანდრო კიურჯიევს არ ჩავთვლით. თუმცა თბილისში დაბადებულ-გაზრდილი ბიჭი გვარად ნინიადისი, უკვე დიდი ხანია საბერძნეთის მოქალაქეა და იქაურთა ნაკრების კანდიდატთა შორისაც მოიხსენიება.

**კობა ინასარიძე**

# ანჩაბაძეც და უჯმაჯურიძეც ბელგიაში

ამ ბოლო დროს არაერთი ბელგიური კლუბის სახელი ფიგურირებს „სარბიელის“ ფურცლებზე. ამას ჩვენი სიმპათიები არ განაპირობებს — უბრალოდ, საქართველოს ერთადერთ წარმომადგენელს ბელგიაში ლაშა ჯაკობიას (იგი „სტანდრადში“ გამოდის) ამ სეზონში სხვა ქართველი ლეგიონერებიც დაუმშვენებენ მხარს. გიორგი დემეტრაძემ „ეკერენი“ და გელა შეყილაძემ „ლიერსი“ რომ აირჩიეს თავიანთი კარიერის გასაგრძელებლად, ამას უკვე ვიუწყებოდით, ამჟამად კიდევ ორი ახალი ლეგიონერი გვეყოლება ბელგიაში. გიორგი ანჩაბაძე და დავით უჯმაჯურიძე მომავალი სეზონიდან „სენტ-ტრუდენს“ დაუკავშირებენ თავიანთ ბედს.

აქამდე უჯმაჯურიძე კვიპროსზე (მან იქ თერთმეტი გოლი გაიტანა) გამოდიოდა, ხოლო ანჩაბაძე — ისრაელში.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ეროვნულს კომფორტი ემატება

ხუთიოდ დღის წინ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს ქართველი მუშები შეერივნენ და ძველი ხის სკამების აყრა დაიწყეს. საქმე ადგილიდან დაიძრა, დასავლეთ და აღმოსავლეთ ტრიბუნებზე ფრანგული ფირმა „გროსფილექსის“ მიერ დამზადებული ლურჯი ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება ახლა უკვე დროის ფაქტორია.

ფეხბურთის ფედერაციამ თავის პირობა შეასრულა — ეროვნულ სტადიონზე სამუშაოები დაიწყო. შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე მუშები 20 ათას სკამს დაახვედრებენ მაყურებელს. დანარჩენი როდის დამონტაჟდება, ჯერჯერობით უცნობია. სასურველია, ყოველივე ალბანელებთან სექტემბრის თამაშამდე მოესწროს, მაგრამ ვინ იცის...

**კობა ინასარიძე**

# გუჩუ

არიან ფეხბურთელები, რომელთაც საარაკო ტექნიკითა და ფინტებით აღტაცებაში მოჰყავთ გულშემატკივარი. ისინი ამინდს ქმნიან მოედანზე და მათ გარეშე ფეხბურთს სილამაზე აკლია.

არიან ფეხბურთელები, რომელთა ფუნქციაც მხოლოდ გოლების გატანით ამოიწურება. გულშემატკივარი არც ფინტით აფასებს მათ, არც საფეხბურთო აზროვნებით. მათი ფასი უმნიშვნელოვანესი საფეხბურთო კომპონენტით განისაზღვრება — მას საგოლე ალღო ჰქვია.

ამათთან ერთად ისეთი მოთამაშეებიც არსებობენ, რომლებიც ვერც ტექნიკურად გვხიბლავენ, ვერც ფილიგრანული პასებით და გოლებიც თითზე ჩამოსათვლელნი თუ გააქვთ, მაგრამ მათ გარეშე ფეხბურთს სიმწვავე, ვაჟკაცური რკენა აკლდება და აღარ არის ისე მიმზიდველი, უგერგილო ხდება.

ისინი სხვათა ჩრდილში ირჯებიან მოედანზე. მათ შექმნაზე მეტად ჩაშლა ევალებათ და ამიტომაც სხვებივით პოპულარულნი არ არიან. თუმცა იმათ, ვისაც ფეხბურთი უყვართ და ესმით, ამგვარ მოთამაშეთა ფასიც უწყიან და მნიშვნელობაც. ამ სტილის ფეხბურთელები იბრძვიან მოედანზე და თუკი ფეხბურთს მამაკაცები თამაშობენ, მებრძოლ ფეხბურთელთა ფასი განუზომელია.

ვალტერ გუჩუაც მებრძოლი ფეხბურთელია. ამჟამად მისი კარიერა, მიუხედავად იმისა, რომ „დინამოში“ გამოდის, არცთუ სახარბიელოა და „გუჩუც“ თავისგან დამოუკიდებელი, სამწუხარო მიზეზის გამო, ძველებურად ველარ იბრძვის. არადა, იყო დრო, როცა ფეხზე წამომდგარი ტრიბუნები ტაშს უკრავდა ერთ კაცს და იგი ვალტერ გუჩუა იყო. მაშინ იგი „სამტრედიაში“ გამოდიოდა. სამტრედიული პერიოდი უდავოდ საუკეთესოა გუჩუას საფეხბურთო კარიერაში — „სამტრედია“ საქართველოს მასშტაბებით ძლიერი გუნდი იყო და შემადგენლობაც ასეთივე ჰყავდა. ვფიქრობ, შეიძლებოდა ჩემპიონები გავმხდარიყავით, თუმცა... ამ ფრაზის ქვეტექსტზე საუბარს ამჯერად თავს ვარიდებთ, მთავარია, რომ გუჩუა ამ ძლიერი გუნდის გამორჩეული მოთამაშე იყო. მისი ხისტი მანერა ახალი არ არის ფეხბურთში. გვყოლია და ახლაც გვყავს მსგავსი სტილის მობურთალები, მაგრამ ის, რაც ვალტერს თავისივე სტილის მოთამაშეთაგან გამოარჩევს, ჩვენი დაკვირვებით, საოცარი დინამიზმია. დიახ, ვერ ნახავთ გუჩუას გაჩერებულს. იგი ხან ერთ ფრთაზეა, ხან მეორეზე, ხანაც ცენტრში დასდევს მეტოქეს, აქ ჩაუწვება, იქ დაასწრებს, ზოგჯერ ბურთს იგერიებს, ან ატარებს და თან იბრძვის, იბრძვის, იბრძვის განუწყვეტლივ. „აზარტის ბრალია, ზოგჯერ ისე შევდივარ ეშხში, დაღლა არც მახსენდება“. აზარტი სპორტსმენისთვის სასარგებლო კია, მაგრამ გადამეტებული არაფერი ვარგა და ალბათ ამ აზარტის გამოცაა, ხშირად რომ ვერ ზომავს ვალტერი. „კი, ასეც ხდება — ღიმილით ამბობს — თამაშის პროცესში ძნელია ბოლომდე მოთოკო ემოციები, ზოგჯერ ბრძოლა უხეშობაშიც გადადის, მაგრამ ამას გამიზნულად არასდროს ვაკეთებ“. გამიზნულად კი კარიერის კიბეებს მიუყვებოდა ვალტერ გუჩუა. ოჩამჩირე ოდითგან კვებავდა ქართულ ფეხბურთს ტალანტებით. ეროვნულ ჩემპიონატში ნათლობაც გუჩუამ მშობლიურ „ამირანში“ მიიღო, მერე კი იყო „ცხუმი“, ისევ „ამირანი“, „სამგურალი“, „შევარდენი 1906“ — ეს ოთხი სეზონი უფრო თვითდამკვიდრების წლებად უნდა ჩავთვალოთ მის კარიერაში. დაბოლოს, „სამტრედიის“ ჯერიც დადგა. იქ სულ ოციოდე თამაშში იასპარეზა გუჩუამ, მაგრამ სამტრედიელებს დღემდე ახსოვთ გუნდის მესამე ნომერი, ვისი ვაჟკაცური მანერაც მათ გულწრფელ აღტაცებას იწვევდა. „სამტრედიის“ მერე ვალტერ გუჩუას ერთგვარი დაღმასვლა დაეწყო. ამაში გარკვეული წვლილი, რა თქმა უნდა, იმ კონფლიქტმაც შეიტანა, რაც მაშინ სამტრედიული გუნდის შიგნით არსებობდა. არც იმერელთა კლუბის პრეზიდენტისა და გუჩუას დამოკიდებულება იყო იდეალური. თითქმის ნახევარი სეზონის მანძილზე უვარჯიშებელ და სათამაშო პრაქტიკას მოკლებულ ფეხბურთელს რა ხეირი დაეყრებოდა, მკითხველმა განსაჯოს.



ვალტერ გუჩუას (შუაში) გავეშება მატჩის დამთავრებისთანავე უკვალოდ ქრება

მაგრამ მთავარი, რამაც გუჩუას, როგორც ფეხბურთელის ზრდას ხელი შეუშალა, მისი შერყეული ჯანმრთელობაა. სად არ იყო, ვის არ მიმართა, რა ჯურის ექიმს არ გაესინჯა, მის სატკივარს ვერავინ უწამლა ბოლომდე. არადა, თანამედროვე სპორტში აღდგენით პროცესებს უდიდესი როლი ენიჭება და თუ ფეხბურთელმა საზრდო ვერ შეირგო, რა თამაშზე და რა ოსტატობის ზრდაზეა ლაპარაკი. ამ ფაქტს სერიოზული მიდგომა სჭირდება — ყველასთვის ნათელია, ვალტერ გუჩუა თვალის ერთი შევლებითაც აღარ ჰგავს თავის თავს — თვალსა და ხელს შუა დნება ბიჭი.

ბოლო სეზონი გუჩუამ თბილისის „დინამოში“ ჩაატარა. ჩაატარა სტაბილურად, თუმცა ძველებური რიხისა და ბრწყინვალების გარეშე. იმ მიზეზებზე, რამაც ფეხბურთელს ხელი შეუშალა, ჩვეულ დონეზე ეთამაშა, უკვე აღვნიშნეთ, გვჯერა, მის სატკივარსაც ეშველება და ვალტერ გუჩუასაც ძველებურად მიაგებენ პატივს გულშემატკივრები. ვის-ვის და მურთაზ ხურცილავას არ ესწავლება, როგორ შეუწყოს ხელი გუჩუა — ფეხბურთელის დაოსტატებას. მათი ურთიერთობა ხომ — როგორც მწვრთნელისა და შეგირდისა — უკვე მეხუთე სეზონს ითვლის.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

ტანვარჯიში

ჩვენი ტანმოვარჯიშეების ლიდერი ილია გიორგაძე კარგა ხანია არც შეჯიბრებებზე ჩანდა, არც თბილისში. მიზეზი რომ ვიკითხეთ, მოსკოვშია, ოპერაცია გაიკეთა და დღე-დღეზე ჩამოვაო, გვითხრეს. ილია მართლაც მალე ჩამოვიდა და ტანვარჯიშის დარბაზში მოვინახულეთ. სხვათა შორის, თბილისში ყოფნისას ის ამ შენობაში არათუ მხოლოდ ვარჯიშობს, ცხოვრობს კიდეც აგერ უკვე რამდენი წელია.

# მაჰსოვს ტკივილი და სიდნეი

— როგორც ექიმებმა მითხრეს, ამ ოპერაციის შემდეგ ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ დროა საჭირო საბოლოოდ გამოსაჯანმრთელებლად. მოსკოვის ოპერაცია ჩემთვის მეორე იყო, მანამდე აქ, თბილისში გამიკეთეს მენისკის ოპერაცია, მაგრამ აქაურმა ექიმებმა დაწყვეტილ ჯვარედინ და გვერდითა მყესებზე ვერ მიმკურნალეს. სწორედ ამ მყესების ოპერაცია გამიკეთდა მოსკოვში და ამჟამად ნაოპერაციევს ვიშუშებ. სამწუხაროდ, ჩემი აზრით, ეს ამდენი მკურნალობა და ოპერაციები ჩემს მომავალ კარიერას უთუოდ დაეტყობა. ფეხი, ალბათ, ყოველთვის შემაწუხებს, ყოველ შემთხვევაში, ასპარეზობისას მუდამ მეხსომება ეს ტრავმა, ამან კი, ბუნებრივია, შიში იცის. ახლა მთავარია, არ ვიჩქარო ვარჯიშის განახლება და განსაკუთრებით ფეხის დატვირთვა.

— **მომავალი ახსენე და ბარემ ამაზეც ვთქვათ...**

— წელს დასვენებას ვაპირებ, უფრო სწორად, მკურნალობასაც განვაგრძობ და თან მსუბუქადაც ვივარჯიშებ, გაისიდან კი შეჯიბრებებში მონაწილეობა მინდა განვაახლო. 1999 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიები გაიცემა. ჰოდა, მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლას და ლიცენზიის მოპოვებას ვაპირებ, რისი დიდი იმედიც მაქვს. ყოველ შემთხვევაში, სიდნეიში წასვლა ჩემი უპირველესი მიზანია.

— **ილია, უკვე სამი წელია, მოსკოვში ცხოვრობ და ვარჯიშობ...**

— დიახ, 1995 წლიდან ვვარჯიშობ მოსკოვის ახლოს, რუსეთის ნაკრების ბაზაზე. რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა და ამ ქვეყნის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეონიდ არკაევმა ჯერ ჩვენი მწვრთნელი ჰანს ბურჯანაძე მიიწვია, მერე მეც წამიყვანეს. რუსეთის მხარემ ჯანო ბაგრატიონთან მიაღწია შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ჩემი იქ ყოფნის ხარჯებს თავდაპირველად რუსები აანაზღაურებენ, ბოლოს კი ამ თანხას ქართული მხარე გადაიხდის.



ილია გიორგაძე

— **რუსეთის ნაკრებში ასპარეზობასაც ხომ არ გთავაზობენ?**

— ჯერჯერობით ასეთი რამ არ შემოუთავაზებიათ.

ილიამ ასე კი მიპასუხა, მაგრამ პასუხის გაცემამდე რატომღაც მოზრდილი პაუზა გააკეთა, წესით კი საფიქრალი რაღა უნდა ჰქონოდა. თანაც, პასუხიც ისეთი მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით და ინტონაციით მითხრა, მის გულწრფელობაში, გამოვტყდები, ცოტა არ იყოს, ეჭვიც კი შემეპარა. თუმცა თავად ილიამ ყოველგვარი დაფარული სავსებით გამორიცხა...

**ირაკლი თავაძე**

რაგბი

# ფაუნის ჯახი ვაკეში

**საქართველოს ჩემპიონატი**

**ყორჩები 34:10 დათვები**

**ყორჩები:** 5ლ. მაჩიტიძე (2), ხეხელაშვილი, კობახიძე, ჩიქავა; 3გ. მაჩიტიძე (3); 1ს. მაჩიტიძე.

**დათვები:** 1ლ. აშვეთია, 1გ. შერვაშიძე, 1ს. ჩუბინიძე.

ანგარიშიდანაც ნათლად ჩანს, რომ ფაუნის წარმომადგენელთა სეხნიების შეხვედრაში უფრო „ყორჩებმა“ იყორჩა, ვიდრე „დათვებმა“ იდათვა. თბილისელთა მართლაც ყორჩი გუნდი გაცილებით მობილიზებული შეხვდა ამ პრინციპულ მატჩს, ვიდრე ბათუმელთა ახალგაზრდული კლუბი, რომელსაც აშკარად აკლდა დათვის მრისხანებაც და ძალაც. ნუ მიწყენენ ბათუმელები და „ყორჩები“ მათ აშკარად ჯობდნენ სისწრაფეშიც და სიზუსტეშიც. ზღვისპირელთა ახალგაზრდულ გუნდს აშკარად ეტყობოდა შეუთამაშებლობა. იგი ამ ოთხიოდე თვის წინ შეიქმნა და ბათუმელი მოთამაშეების გარდა ქუთაისელებითაც გაძლიერდა. მათ ნიჭი არ აკლიათ, მაგრამ ოსტატობა და კლასი ვარჯიშებსა და ხშირ-ხშირ თამაშებს მოაქვს, ეს კი დროის საქმეა. „ყორჩებმა“ „დათვები“ სისწრაფითა და თამაშის კარგი ორგანიზებით დაჯაბნა. თუ თბილისელები დაცვასა და თავდასხმას წარმატებით უნაცვლებდნენ ერთმანეთს, ფლანგებსაც კარგად იყენებდნენ და სწრაფადაც იცვლიდნენ, ბათუმელებს აშკარად უჭირდათ ჩაშლილი შეტევიდან თავდაცვაზე გადასვლა. ისინი ამას ძალიან ნელა აკეთებდნენ, რაც, ალბათ, შეუთამაშებლობის ბრალია. ბათუმელთა შეტევის არსენალიც გაცილებით მწირი იყო და მათი შერკინების ხაზიც მოისუსტებდა. ზღვისპირელები დარტყმებშიც მოიკოჭლებდნენ და აქაც ჩამორჩნენ მეტოქეს. თბილისელთაგან დამრტყმელობას ვინ ითავებდა, თუ არა კახა მაჩიტიძე და მანაც თავი არ შეირცხვინა — საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან აცილებული ერთი საჯარიმოსა და ორი გარდასახვის მიუხედავად. თბილისელებმა ფსიქოლოგიურადაც დაჯაბნეს სტუმრები. მართალია, დამხვდურები თამაშის დასაწყისშივე მდევრის როლში აღმოჩნდნენ ჩუბინიძის ზუსტად დარტყმული საჯარიმოს შემდეგ, მაგრამ მალევე მოახერხეს თამაშის დალაგება და კომბინაციურობით აჯობეს მეტოქეს. „დათვებმა“ მხოლოდ შეხვედრის მიწურულს შეძლეს კინკილა ლელოს გატანა და მისი გარდასახვა.

მატჩი სანახაობრივად მაინცდამაინც ვერ მოგტაცებდათ თვალს. ორივე გუნდი ძირითადად ფეხით ირჯებოდა, რამაც თამაში მეტად დაამძიმა.

ამ მოგებით „ყორჩებმა“ კიდევ უფრო განიმტკიცა მდგომარეობა სატურნირო ცხრილის თავში, „დათვებს“ კი ისღა დარჩენიათ, პლეი ოფში მოსახვედრად მომდევნო მატჩებში იბრძოლონ. იქ გუნდს ლიდერებთან შეხვედრა დალხენილ ცხოვრებას ნამდვილად არ უქადის, თუმცა ბათუმელთა მწვრთნელი რამაზ სვანაძე რეალურად აფასებს სიტუაციას. მას არც ლიდერების მასპინძლობისა ეშინია და არც გუშინდელ წაგებას დაუღონებია. გამარჯვება გამოცდილებას მოაქვსო, მითხრა „დათვების“ „მომთვინიერებელმა“.

**ირაკლი თავაძე**


**იყიდება**

სამოთახიანი ბინა (105 კვ. მ.) ვერაზე, ბარნოვის ქ. №71, II სად. II სართ. ბინა 1. შესასვლელი აქვს აგრეთვე კეკელიძის ქუჩიდან

22 - 57 - 07

66 - 52 - 58


ჩოგბურთი

# ნუ გააღვიძებთ მძინარე ჩოგბურთელს

უიმბლდონის ერთი მერვედფინალისთვის მთელი ბრიტანეთი დროებით მოსწყდა ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის პერიპეტიებს და რაკილა ტურნირის ორგანიზატორებმა როგორც იქნა, მოახერხეს და ტიმ ჰენმანის შეხვედრა ინგლისის ნაკრებისას არ დაამთხვიეს, თავისი საჩოგბურთო კერპის საგულშემატკიროდაც მოიცალა. ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებულ პატრიკ რაფტერთან მატჩისას დროზე მორჩი, ფეხბურთის ცქერა გვინდაო, უკვე აღარავის დაუძახია, ის კი არა, ბევრ ერთობ პატრიოტულად განწყობილ ინგლისელს ეროვნული დროშებიც წამოეღო საფრიალოდ.



მონიკა სელეში

თავისიანთა გასახარად, ჰენმანმა შეხვედრა შესანიშნავად დაიწყო, პირველი სეტის მოგებას ნახევარი საათიც კი არ დაახარჯა, მეორეში თავიდანვე ბრეიკი გააზერხა, მაგრამ კონცენტრაციის ბოლომდე შენარჩუნება მაინც ვერ მოახერხა და როდესაც კიდევ უფრო დაწინაურებას თითქმის აღარაფერი აკლდა (5:4-ზე მეორე ხელში), რამდენიმე ორმაგი შეცდომა დაუშვა, საკუთარი მოწოდება დაკარგა და ავსტრალიელს ტაი-ბრეიკზე ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობაც მისცა.

გადაჭედილი ტრიბუნები დროებით მიყუჩდა და ხმა რაფტერის არცთუ მცირერიცხოვანმა, ძირითადად მშვენიერი სქესის წარმომადგენელმა ქომაგებმაც ამოიღეს, მაგრამ ამჯერად ოზის შეცდომების დროც მოვიდა და ნოლზე დათმობილმა მოწოდებამ მესამე ხელის ბედიც მისი მეტოქის სასარგებლოდ გადაწყვიტა. მერე კი ავსტრალიელმა ზურგის ქვედა ნაწილის ტრავმა მიიღო (ისე, კომენტატორად მომუშავე პატ კეშმა მოურიდებლად განაცხადა, ზურგი კი არა, დუნდულაო), კორტზე ექიმს უხმო, იქედან მოყოლებული ბადესთან გასვლებსა და საფირმო აკრობატულ ნახტომებსაც უკლო და ორსაათნახევარში „იუნიონ ჯეკის“ ალმებიც ამაყად აფრიალდა — რაფტერი ზედიზედ მესამედ გავარდა მეოთხე წრეში, ჰენმანი კი ასევე ზედიზედ მესამედ მეოთხედფინალში გავიდა 6:3, 6:7 (3:7), 6:3, 6:2. „ეს ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო გამარჯვება იყო. როდესაც ასე გადაჭედილ ცენტრალურ კორტზე თამაშობ, გული სხვანაირად გიცემს. მე კიდევ ერთხელ დავამტკიცე, რომ ამდენი გულშემატკივრის გასახარად არაფერს და არავის შევუშინდები“ — განაცხადა ჰენმანმა, რომელიც ნაღდად ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული.

დიდი სლემის ტურნირის ჩემპიონის დამმარცხებელ ინგლისელს მეოთხედფინალში კიდევ ერთი სლემის გამარჯვებული, პეტერ კორდა კი ელის, მაგრამ პირველი ორი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ნახევარფინალში გაღწევა შეიძლება სრულიად იოლად მოახერხოს. საქმე იმაშია, რომ ჰოლანდიელ იონ ვან ლოტუმთან შეხვედრის ბოლოს ავსტრალიის ღია პირველობის მომგები ჩეხი დაშავდა — მესამე სეტში, 5:5-ზე სრიალა კორტზე თავი ვერ შეიკავა, დაეცა და აქილევსის მყესი დაიჭიმა. კორდას თამაშის გასაგრძელებლად სამედიცინო დახმარება დასჭირდა და როცა კორტს დაუბრუნდა, ისე კოჭლობდა, გადაადგილებაც უჭირდა. მართალია, კლასმა მაინც თავისი გაიტანა, ჩეხმა მოწოდებაც შეინარჩუნა და ტაი-ბრეიკის მოგებით მეოთხედფინალის საგზურიც გაინაღდა 6:3, 6:4, 7:6 (7:4), მაგრამ შეძლებს თუ არა იგი ჰენმანთან გაჯიბრებას, ჯერაც საკითხავია. „დახმარება აღმომიჩინეს და ამჟამად თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ. თუ კარგი ამინდი იქნება, აუცილებლად ვიასპარეზებ“ — ეს განცხადება კორდამ მატჩის შემდეგ გააკეთა.



ტიმ ჰენმანი

ჰენმანის გარდა მერვედფინალში ინგლისელებს კიდევ ერთი თავისიანი ჰყავდათ — კონჩიტა მარტინესის გამგდები სამანტა სმიტი. ტურნირზე თავისთვის უცნობ სიღრმეებში შეტოპილმა სამანტამ უიმბლდონის დასვენების დღე-კვირა ინტერვიუებში გაატარა, ორშაბათს ლამის ყველა დიდი გაზეთის წინა გვერდზე წამოჭიმა, სათამაშოდ პირველ კორტზე BBC-ის რეპორტიორთა მთელი ამალის თანხლებით გამოცხადდა და ყველაფერი ამის შემდეგ მეთექვსმეტედ განთესილ ნატალი ტოზიასთან საათზე ნაკლებში წააგო შეხვედრა 3:6, 1:6. „შეიძლება ყველას სურდა, ფინალშიც მეთამაშა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან შანსი არ დამიტოვა“ — თავი იმართლა სამი დღით დედოფალმა.

სამაგიეროდ კიდევ ერთ ფრანგ ქალს, სანდრინ ტესტიუს ნაკლებად გაუმართლა. ამერიკელი მონიკა სელეში სანამ ჯანზე არ იყო, სანდრინს გამოჭერილი ჰყავდა და შიშის ზარსაც სცემდა — შარშანდელი უიმბლდონი ხომ ჩაუშხამა, წლეულს იტალიის პირველობიდანაც გააგდო. მაგრამ ეს ორი თვეა, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ისევ ჩვეულად თამაშობს და ასეთი მონიკა არც თარს და არც მოუხერხებელ მეტოქეებს არაღ დაგიდევთ — 6:3, 6:2 შურისძიების სასარგებლოდ.

მარტინა ჰინგისისთვის კი მერვედფინალის ყველაზე დიდი სადარდებელი ის გახლდათ, სათამაშოდ მეტისმეტად ადრე რომ მოუხდა ადგომა. როგორც ყველა თინეიჯერს, 17 წლის შვეიცარიელსაც დილით გამოძინებას არაფერი ურჩევნია და როდესაც ტაილანდელ ტამარინე ტანასუგარნთან 11 საათზე დაუნიშნეს ბრძოლა, ფრიადაც განიწყენდა: „დილით საშინელ ხასიათზე გახლდით. ვარჯიშის დროს ლამის მეძინა.“

მარტინას გამოფხიზლებას დიდი ხანი არ დასჭირვებია: მატჩის პირველივე გეიმში საკუთარი მოწოდების დაკარგვამ ცივი წყალივით იმოქმედა, შვეიცარიელიც სრული ძალით ათამაშდა და ტურნირს შემორჩენილი უკანასკნელი აზიელის მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად 6:3, 6:2 გაიმარჯვა. მარტინას მატჩის შემდეგ ტანასუგარნის რისკიანი თამაშისა და ბურთების ხაზებზე ხშირად მოხვედრების აღნიშვნაც არ დავიწყებია, დღეს ისე უმართლებდა, საღამოს კაზინოში უნდა წავიდეს და მე მგონი, გვარიანადაც იხეირებსო. ჰინგისმა თავით კმაყოფილების გამოთქმის შემდეგ კონკურენტებიც გაიხსენა და განაცხადა, ფავორიტად სელეში მიმაჩნია, ამჟამად ძალიან კარგ ფორმაშიაო.

მერვედფინალი

**ქალები:** **ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — მაუი სერნა (ესპანეთი) 6:1, 6:0; ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) — მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 6:4, 6:2; არანჩა სანჩესვიკარიო (5, ესპანეთი) — დომინიკ ვან რუსტი (15, ბელგია) 3:6, 6:3, 6:2; ვინუს უილიამსი (7, აშშ) — ვირხინია რუანო — პასკუალი (ესპანეთი) 6:3, 6:1; იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — ირინა სპირლეა (10, რუმინეთი) 6:2, 6:3.**

**ავთანდილ სვანიძე**

უიმბლდონის ოთხგზის ჩემპიონი და მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი ჟურნალისტებისგან დევნასა და შევიწროებაზე ნაღდად ვერ იწუწუნებს.

ამერიკელი „ოლ ინგლენდ კლაბის“ ცენტრალური ჭიშკრიდან გასვლას ცდილობდა, როდესაც საიდანღაც ოციოდ ფოტოგრაფით გარშემოტყმული ემა ნობლი გამოჩნდა. ნობლი ყოფილი მოდელი, ამჟამად კი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრის, ჯონ მეიჯორის ვაჟის, ჯეიმსის საცოლეა. რეპორტიორები ამ ლამაზმანის დაფიქსირებით ისე იყვნენ გართული, რომ სამპრასის თხოვნაზე, გაეტარებინათ, კაცს ყური არ შეუბერტყავს, ის კი არა, არც ერთს სურვილიც არ გამოუმჟღავნებია, ერთი სურათი მაინც გადაეღოთ „მისტერ ტენისისთვის“.

* * *

ლონდონის „ივნინგ სტენდარდის“ ცნობით, მონიკა სელეშს ახალი ბოიფრენდი ჰყავს. გაზეთი იტყობინება, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ქუჩაში გამვლელი ერთი უბრალო ავსტრალიელით დაინტერესდა, რომელმაც მონიკას „პიკადილი სერქასის“ მეტროს გაჩერებასთან გზის სწავლება სთხოვა. უცნობ მამაკაცს სელეშის ვინაობაზე წარმოდგენა არა ჰქონია, მაგრამ ამერიკელი შესანიშნავი გიდი გამოდგა, ამ მცირე სამსახურის გაწევისას ტელეფონის ნომრების გაცვლა მოასწრო და მოგვიანებით რესტორანში დაპატიჟებასაც გამოჰკრა ხელი. თუმცა, რამდენად შეიძლება ენდო ჭორების სვეტის ამ ინფორმაციასა და მასში მოთავსებულ ბუნდოვან სურათს, ჯერ კიდევ გასარკვევია.

სამაგიეროდ, არაფერია საეჭვო იმაში, რომ როლან გაროსის ჩემპიონ კარლოს მოიას საკმაოდ მოკრძალებული შედეგების მქონე რუმინეთის მეოთხე ჩოგან რალუკა სანდუსთან მეტად ახლო ურთიერთობა აკავშირებს. სანდუ სპორტული ოჯახიდანაა — დედამისი 1972 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორია ხელბურთში, მამა — მირეა ადრე რუმინეთის ფეხბურთის ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა, ახლა კი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია. რალუკას თავისი პირადი ცხოვრების გამომზეურება, ეტყობა, მაინცდამაინც არ უყვარს. როდესაც სთხოვეს, WTA ტურის დღიურში მოიაზე რაიმე ჩაეწერა, რუმინელმა მეტად უცნაური ფრაზა მოიფიქრა — აღფრთოვანებული ვარ კარლოსის ფეხის მოძრაობითო.

* * *

შტეფი გრაფის ნატაშა ზვერევასთან ერთობ საწყენი მარცხის შემდეგ პრესკონფერენციას მაინცდამაინც მჟავე ატმოსფეროში სულაც არ ჩაუვლია.

როდესაც ინგლისური კითხვები ამოიწურა და პრესკონფერენცია გერმანულად გაგრძელდა, ერთი ამერიკელი ჟურნალისტი უჩუმრად გაპარვას ცდილობდა, მაგრამ მთლად აგენტი 007-ის მონაცემები არ აღმოჩნდა და ტელევიზორის მონიტორს ხეთქა თავი. ამერიკელმა სასწრაფოდ გრაფს გახედა, ხომ არ შემნიშნაო, რამაც უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი ისე გაამხიარულა, სიცილი ვერ შეიკავა.

თუმცა, როგორც იტყვიან, იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის: როდესაც გრაფი ინტერვიუს მორჩა, ადგა და... თავი ჭერს უთავაზა.

* * *

ტიმ ჰენმანის მწვრთნელი დევიდ ფელგეითი თავისი შეგირდის ავსტრალიელ პატრიკ რაფტერთან შეხვედრისას უთუოდ შესთხოვს განგებას, წინა მატჩის ბედი აარიდოს. არა, საქმე ჰენმანის ცუდ თამაშში სულაც არ არის, იგი უკვე მერვედფინალშია. უბრალოდ, სანამ ინგლისის დიდი იმედი ცენტრალურ კორტზე ბაირონ ბლექს ეჭიდებოდა, მის მოძღვარს თავისი სახლის შესასვლელთან დაყენებული ახალთახალი მერსედესი მოჰპარეს.

* * *

უიმბლდონზე ინგლისელი სამანტა სმიტის ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატთან კავშირი ათასნაირად გააბუქეს. არადა, ბოლო 15 წლის განმავლობაში მასპინძელთა პირველი ქალ მერვედფინალისტს სალაპარაკო ბევრი არაფერი ჰქონია, უბრალოდ, მასა და ინგლისის ნაკრების მცველ პოლ ინსს საერთო აგენტი — სტიუარტ კუატნერი ჰყოლიათ და იმ დროს, როდესაც სმიტი მესამე წრეში კონჩიტა მარტინესს ამარცხებდა, მისი აგენტი მობილურით სწორედ ინსთან საუბარში იყო გართული. სამაგიეროდ, ინგლისელის მორიგ მეტოქეს, ფეხბურთის დიდ ქომაგ ნატალი ტოზიას ჩემპიონატზე ახლო ნათესავიც კი ჰყავს საგულშემატკიროდ — იგი საფრანგეთის ნაკრების წევრის, დიდიე დეშამპის ბიძაშვილია.

## გოლები

5 — კრისტიან ვიერი (იტალია), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა)

4 — მარსელო სალასი (ჩილე), ლუის ერნანდესი (მექსიკა)

3 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), რონალდო (ბრაზილია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია), დავორ შუკერი (ხორვატია)

2 — ტიერი ანრი (საფრანგეთი), მარკ ვილმოტსი (ბელგია), არიელ ორტეგა (არგენტინა), რობერტო ბაჯო (იტალია), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), სალაჰედინ ბასირი (მაროკო), ბებეტო (ბრაზილია), შონ ბარტლეტი (ს. აფრიკა), ფერნანდო იერო (ესპანეთი), ფრანსისკო მორიენტესი (ესპანეთი), კიკო (ესპანეთი), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), თეოდორ უიტმორი (იამაიკა), ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია), სლობოდან კომლიენოვიჩი (იუგოსლავია), მაიკლ ოუენი (ინგლისი), ალან შირერი (ინგლისი)

1 — ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჟუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), ჰავარდ ფლო (ნორვეგია), კრეიგ ბარლი (შოტლანდია), რივალდო (ბრაზილია), ივიცა ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), ვიკტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ჰამიდ ესტილი (ირანი), მეჰდი მაჰდავიკია (ირანი), ბრაიან მაკბრაიდი (აშშ), ლიდერ პრესიადო (კოლუმბია), დან პეტრესკუ (რუმინეთი), ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია), პატრიკ მბომა (კამერუნი), ხოსე სიერა (ჩილე), ტორე ანდრე ფლო (ნორვეგია), კეტილ რეკდალი (ნორვეგია), იური ჯორკაეფი (საფრანგეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი), სამი ალ ჯაბერი (საუდეთი), იუსუფ ალ ტინიანი (საუდეთი), ლუის ენრიკე (ესპანეთი), ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი), სელსო აიალა (პარაგვაი), მიგელ ბენიტესი (პარაგვაი), ხოსე კარდოსო (პარაგვაი), ვილსონ ორუმა (ნიგერია), რიკარდო პელაესი (მექსიკა), ლუკ ნილისი (ბელგია), იუ სენგ ჩუი (კორეა), ექტორ პინედა (არგენტინა), მასაში ნაკაიამა (იაპონია), სკანდერ სუია (ტუნისი), დარენ ანდერტონი (ინგლისი), დევიდ ბექემი (ინგლისი), ლორან ბლანი (საფრანგეთი), ბრიან ლაუდრუპი (დანია), პეტერ მიოლერი (დანია), ებე სანდი (დანია), ტომას ჰელვეგი (დანია), ტიჯანი ბაბანგიდა (ნიგერია), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია), ხავიერ ძანეტი (არგენტინა)

## ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)

1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია)

## ყვითელი ბარათები

*დანია* — რიპერი

*ხორვატია* — სოლდო, ბობანი, ბილიჩი

*იტალია* — მალდინი, დი ბიაჯო, მორიერო

*ბრაზილია* — სეზარ სამპაიო, ლეონარდო, კაფუ

*გერმანია* — ბაბელი, მათეუსი, ტარნატი, ჰამანი

*არგენტინა* — ვერონი, სიმეონე, ალმეიდა, როა

*მერვედფინალების წინ ფეხბურთელებს ჯგუფურ ტურნირში მიღებული 2 გაფთხილება გაუნახევრდათ, თითო კი გაუუქმდათ.*

# იცით თუ არა, რომ...

...იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელი პრედრაგ მიატოვიჩი პირველია, ვინც 1990 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე, თერთმეტმეტრიანი დარტყმა ვერ გამოიყენა (მხედველობაში არ მიიღება მატჩისშემდგომი პენალტების სერია). უკანასკნელად კარის აღების ასეთი ხელსაყრელი სიტუაციით ვერ ისარგებლა იტალიელმა ჯანლუკა ვიალიმ. რვა წლის წინ მის მიერ აშშ-ის ნაკრების კარში დარტყმული პენალტი, ისევე როგორც გუშინწინ მიატოვიჩის შემთხვევაში, კარის ძელმა მოიგერია. იქიდან მოყოლებული, 1998 წლის 29 ივნისამდე ფეხბურთელებს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე 38 თერთმეტმეტრიანი გამოეყენებინათ. ოცდამეცხრამეტე დარტყმა კი მიატოვიჩმა გააცუდა.

* * *

...გერმანიის ნაკრების თავდამსხმელმა იურგენ კლინსმანმა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე სამჯერ გამოიჩინა თავი. ახლა მას მსოფლიოს პირველობებზე სულ 11 გოლი აქვს გატანილი და ამ მაჩვენებლით მესამე ადგილს იყოფს უნგრულ შანდორ კოშიჩთან ერთად. მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირების სიას კი გერმანელი გერდ მიულერი (14 გოლი) და ფრანგი ჟიუსტ ფონტენი (13) ლიდერობენ. აღსანიშნავია, რომ კლინსმანს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გერმანიის ნაკრების მიერ გამართულ უკანასკნელი ცხრა შეხვედრიდან შვიდში მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია.

* * *

...ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელმა დენის ბერხკამპმა იუგოსლაველებთან მერვედფინალურ შეხვედრაში გოლის გატანით მისი ქვეყნის ერთგვარი რეკორდი გაიმეორა. ახლა მას საერთაშორისო შეხვედრებში 35 გატანილი ბურთი დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით წარსულში ცნობილ თანამემამულე ფას ვილკესის შედეგს გაუტოლდა. საგულისხმოა, რომ ვილკესმა ეს რეკორდი დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის წინ დაამყარა. ბერხკამპს კი კიდევ ერთი რამით შეუძლია მოიწონოს თავი — მან მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ჰოლანდიის ნაკრების მიერ გამართულ უკანასკნელი შვიდი შეხვედრიდან ხუთში გამოიჩინა თავი.

* * *

...გერმანიის ნაკრებმა მერვედფინალურ შეხვედრაში მექსიკელების 2:1 დამარცხებით მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალს ზედიზედ მეხუთედ მიაღწია. აღსანიშნავია, რომ გერმანელებმა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გამართული უკანასკნელი თექვსმეტი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი წააგეს. ეს 1994 წელს მოხდა ამერიკაში. იმ დროისთვის მსოფლიოს ჩემპიონებს მეოთხედფინალურ მატჩში ბულგარელებმა აჯობეს.

* * *

...მექსიკის ნაკრები უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპის მესამედ გამოეთიშა გერმანელებთან დამარცხების გამო. 1978 წელს არგენტინაში საბრალო მექსიკელები ევროპელებმა არ დაინდეს და 6:0 გაანადგურეს. 1986 წელს, როცა ჩემპიონატი მექსიკაში გაიმართა, მასპინძლები გერმანიის გუნდს მეოთხედფინალში გადაეყარნენ და მართალია მატჩის ძირითადი დრო ფრედ 0:0 დასრულდა, პენალტებით მაინც მარცხი იწვნიეს. მესამედ კი მექსიკელები გუშინწინ მერვედფინალურ შეხვედრაში გაწბილდნენ — გერმანელებმა 2:1 დაამარცხეს.

* * *

....იუგოსლავიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გამართულ ბოლო შვიდ შეხვედრაში არ წაეგო. გუშინწინ მათ ეს სასიამოვნო სერია ჰოლანდიელებთან 1:2 მარცხის შემდეგ შეწყვიტეს. საინტერესოა, რომ უკანასკნელად იუგოსლაველებს გერმანიის ნაკრებმა სძლია. ეს 1990 წელს იტალიაში გამართულ პირველობაზე მოხდა. მაშინ იუგოსლაველები მომავალმა ჩემპიონებმა — გერმანელებმა 4:1 გაანადგურეს.

* * *

...გერმანიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გამართულ უკანასკნელ 18 შეხვედრაში მინდორი უგოლოდ არ დაუტოვებია. ბოლოჯერ ასეთი რამ გერმანელებს 1986 წელს მექსიკაში ჩატარებულ პირველობაზე შეემთხვათ, როცა მასპინძლებთან მერვედფინალური შეხვედრა 0:0 დაასრულეს, თუმცა მაშინ მათ მაინც თავი არ შეირცხვინეს და პენალტების სერიის 4:1 მოგებით ნახევარფინალში გავიდნენ.

# გოლი მუსიკის თანხლებით

**მოგწონს თუ არა, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს — საფრანგეთში წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე არის ერთი სიახლე, რომელსაც სტადიონზე მისული გულშემატკივრები თავიდან ვერაფრით აიცილებენ. ყოველი გატანილი გოლის შემდეგ სხვადასხვა ჟანრის ყურისწამღები ელექტრონული მუსიკა — აი, რა არის საფრანგეთში ჩასული ქომაგების სახალისო საუბრების თემა.**

**ამ სიახლის დამნერგავი კი, რა თქმა უნდა, ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, წარსულში საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი მიშელ პლატინი გახლავთ, ასე რომ, იმ გულშემატკივრებს, რომელთაც გოლის შემდეგ მუსიკის მოსმენა არ სიამოვნებთ, შეუძლიათ მუსიე პლატინისთან იჩივლონ.**

**ფიფას წარმომადგენლის კეიტ კუპერის განცხადებით, პლატინიმ ეს ნაბიჯი ამერიკის კალათბურთისა და ჰოკეის ეროვნული ლიგების მიბაძვით გადადგა, რის გამოც მავანი გულშემატკივრები მას ევროპის ამერიკანიზაციაში სდებენ ბრალს.**

**— ეს მსოფლიოს პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის პირადი არჩევანი გახლავთ, რომელიც სტადიონზე უფრო საზეიმო განწყობის შესაქმნელადაა გამიზნული და ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ქომაგს დამკვიდრებული სიახლე გულზე არ ეხატება, ჩვენ დიდად არ გვაღელვებს. მთავარი ის გახლავთ, რომ ახალ წამოწყებას საფუძველი ჩაეყარა და რახან ერთხელ დავიწყეთ, ახლა გაჩერებას აღარ ვაპირებთ — ასეთი გახლდათ კუპერის კომენტარი.**

REUTERS ბუენოს აირესიდან



სენტ ეტიენში ინგლის—არგენტინის მატჩის დამთავრებამ და ბუენოს აირესში სიგიჟის დაწყებამ ერთი იყო. ეს ყოველივე არგენტინაში „ფიესტა ნასიონალე" ანუ ეროვნულ ზეიმად იწოდება, მაგრამ ამ სიხარულში ზღვარგადასული ქომაგები რომ ურევია: სხვანაირად, მბრძოლთა ქომაგებს მტერთა ქვეყნის დროშის დაწვა რად უნდა მოჰფიქრებოდათ...

REUTERS სანტ იაგოდან



თითქოს უცნაურია, მაგრამ ასე კი იყო: ბრაზილიასთან 1:4 მარცხის შემდეგ შინ დაბრუნებულ ჩილელ ფეხბურთელებს სანტიაგოში დიდი ზარზეიმით შეხვდნენ. ჩილელი ხალხი ეროვნული გუნდის მერვედფინალამდე მიღწევითაც ერთობ კმაყოფილი დარჩენილა

# დაღონებული კლინტონი ბრაზილიას ქომაგობს

ჩინეთში საქმიანი ვიზიტით მყოფმა ამერიკის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა რამდენიმე წუთი ფეხბურთზე საუბრისთვისაც გამონახა. პრეზიდენტის თქმით, მისი საყვარელი სპორტის სახეობა ყოველთვის გოლფი იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს ფეხბურთიც ძლიერ მოსწონებია და თურმე ხშირადაც უყურებს. კლინტონმა ისიც აღნიშნა, რომ საშინლად დაწყვიტა გული ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების ირანის გუნდთან წაგებამ. კარგად მოგეხსენებათ, ჩვენი და ირანის ურთიერთობა, თუმცა სპორტს ეს არ ეხება და მინდა ვაღიარო — ირანის ნაკრებმა სამართლიან, კაცურ ბრძოლაში იმარჯვა. მართალია, ამან ყველა ამერიკელი დაადონა, მაგრამ რას იზამ, ძლიერმა მოიგო" — განაცხადა კლინტონმა შანხაის რადიოთი გამოსვლისას. პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ ამ მატჩით მისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი არ დასრულებულა და იგი კვლავაც ადევნებს თვალყურს საფრანგეთის სტადიონებზე მიმდინარე მოვლენებს. „ფეხბურთის დიდი ექსპერტი არ ვარ, მაგრამ მგონია, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები გახდება. მისი დამარცხება მალიან ძნელია და ამავდროულად სამხრეთამერიკელები ულამაზეს ფეხბურთს თამაშობენ" — დაამატა ამერიკის პრეზიდენტმა. ეს განცხადება ბრაზილიელთათვის დანიელებთან მატჩის წინ, ალბათ, დამატებითი სტიმული იქნება.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია

**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული

**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე

**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29